

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული
სტრატეგია
2022-2032

*სამუშაო ვერსია
06.12.2021*

1	შესავალი	3
1.1	განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის კავშირი ეროვნულ და საერთაშორისო განვითარების ჩარჩოებთან	5
2	სიტუაციური ანალიზი	8
2.1	სიტუაციური ანალიზის შემუშავების მეთოდოლოგია	8
2.2	მოსახლეობა და ეკონომიკა	10
2.3	მიღწევები განათლების და მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორში	11
2.4	გამოწვევები განათლებისა და მეცნიერების ხარისხისა და რელევანტურობის მიმართულებით	16
2.5	გამოწვევები განათლებისა და მეცნიერების სექტორში თანასწორობის, ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების მიმართულებით	24
2.6	გამოწვევები განათლებისა და მეცნიერების სექტორებში მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და დაფინანსების მიმართულებით	30
3	ხედვა, მისია, მიზნები და სტრატეგიული ამოცანები	35
3.1	ხედვა	35
3.2	მისია	35
3.3	2022-2032 წლების სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები და ღირებულებები	36
3.4	სტრატეგიული მიზნები	36
3.4.1	სტრატეგიული მიზანი I. ხარისხი და რელევანტურობა	37
3.4.2	სტრატეგიული მიზანი II. თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება	50
3.4.3	სტრატეგიული მიზანი III. მართვა, დაფინანსება და ანგარიშვალდებულება	61
3.5	ინსტიტუციური გაძლიერება	70
4	მმართველობა, განხორციელების პირობები და პასუხისმგებელი უწყებები	72
4.1	პარტნიორები	73
4.2	საჯარო კონსულტაციები	73
5	მონიტორინგი და შეფასება	73
5.1	სამოქმედო გეგმები	76
5.2	დაფინანსების წყარო	76
5.3	რისკები	76
6	დანართები	78

1 შესავალი

ხარისხიანი განათლების მიღება თითოეული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული ზრდის, სოციალური კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების წინაპირობას. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა არის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, რასაც მოწმობს, უკანასკნელ წლებში განხორციელებული ყოვლისმომცველი რეფორმები, ასევე მთავრობის მიერ აღებული ვალდებულება გაგრძელდეს განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემის რეფორმის უწყვეტი მხარდაჭერა და გაიზარდოს განათლების სახელმწიფო დაფინანსება მშპ-ს 6%-მდე.

2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის განხორციელებისას გატარებული რეფორმები მიმართული იყო განათლების რელევანტურობის უზრუნველყოფაზე, ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებაზე, პროფესიული განათლებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მასწავლებლის პროფესიის მიმზიდველობის გაზრდის, უმაღლესი განათლების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ხარისხისა და ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად.

გატარებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესის მიუხედავად, განათლების, გადამზადების, კვლევისა და ტექნოლოგიების სისტემაში კვლავ რჩება გამოწვევები, მათ შორის, ხარისხისა და თანასწორობის, მმართველობის, დაფინანსებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით.

2019 წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულმა 2017-2021 სტრატეგიის შუალედურმა შეფასებამ გამოავლინა, რომ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არ იყო ფორმულირებული და გამყარებული შესაბამისი ინდიკატორებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩანდა პროგრესის ტენდენცია, არაზუსტი ან არაგაზომვადი ინდიკატორები არ იძლეოდა საშუალებას, მიზნებთან მიმართებით შეფასებულიყო განხორციელებული საქმიანობა.

გარდა ამისა, კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სექტორი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, როგორებიცაა: დისტანციურ და ჰიბრიდულ სასწავლო პროცესზე გადასვლა, სასწავლო პროცესში ჩართულობისა და სასწავლო მიზნების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა,

მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ციფრული სასწავლო რესურსების მიწოდების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) ხელმძღვანელობით, აიღო განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პასუხისმგებლობა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივნისის N304 დადგენილებით შეიქმნა 2022-2032 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო. წინამდებარე სტრატეგია განამტკიცებს განხორციელებული რეფორმების ფარგლებში მიღწეულ შედეგებს. ასევე მიზნად ისახავს სისტემის ჰოლისტური და მდგრადი განვითარების მხარდაჭერას, საყოველთაო და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ამასთანავე, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, შესაბამისი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, მომზადდება ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის დოკუმენტები.

დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია სამიზნე სამინისტროების, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობების, ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, საერთაშორისო დონორების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ფართო საზოგადოების გრძელვადიანი, მჭიდრო თანამშრომლობა.

2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ახალი ეროვნული სტრატეგია შემუშავდა სისტემური მიდგომით და სრულ თანხვედრაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. საჯარო მმართველობის მიმდინარე რეფორმების შედეგად სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის “პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ” N629 დადგენილებით დამტკიცებულ “პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს”. აღნიშნული მეთოდოლოგია ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობას. ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტ და მრავალმხრივ თანამშრომლობას პრიორიტეტების განსაზღვრის, სტრატეგიული ამოცანების თანამიმდევრულობის, განხორციელების შესაძლებლობისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის ხედვას განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების შესახებ და პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად ასახავს გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად დასახული მიზნებისა და ამოცანების

განხორციელების გეგმას. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სტრატეგიის შესრულების ინდიკატორები მიღწეული პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგისათვის.

განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის შემუშავების პროცესში სამინისტროს ტექნიკურ მხარდაჭერას უწევდნენ: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები „საჯარო მმართველობის რეფორმის პროექტი“ (PAR) და „უნარები დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs), ასევე მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები.

1.1 განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის კავშირი ეროვნულ და საერთაშორისო განვითარების ჩარჩოებთან

საქართველოს მომავლის პოლიტიკური ხედვა ემყარება სწრაფვას, ააშენოს ევროპული სახელმწიფო, რასაც ითვალისწინებს 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამა. საქართველოს ევროპული მისწრაფების, მისი ევროპული არჩევანისა და დემოკრატიული, სტაბილური და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის მშენებლობის გაგრძელების საერთო მიზნის ნაწილია ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია. ამ თვალსაზრისით, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო და ევროპული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით, ეფექტური ინსტრუმენტი გახდება სტრატეგიის იმპლემენტაციის და განათლების, მეცნიერების, კვლევის და ინოვაციის სისტემის შემდგომი განვითარების პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის კონცეპტუალური ჩარჩო შეესაბამება განათლების, გადამზადების, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის მიმართულებით მოქმედ პოლიტიკის ევროპულ ჩარჩო დოკუმენტებს, რომლებსაც აერთიანებთ მდგრადი და მომავალზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების, კვლევისა და ინოვაციის (R&I) სისტემის განვითარებისა და ეფექტურობის ზრდის პრინციპები.

ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საქართველო კვლავ ერთგული რჩება განათლებასა და მეცნიერებასთან დაკავშირებული ამოცანებისადმი. დოკუმენტი სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის ამბიციურ 10 წლიან გეგმას და იგი განათლებისა და მეცნიერების სექტორის ინსტიტუციური, სამართლებრივი, ფინანსური და პროგრამული მომზადებით

მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს მთავრობის ერთიან ძალისხმევაში 2024 წელს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე განაცხადის წარსადგენად.

საქართველო ერთგულია ევროპის საბჭოს რეზოლუციისა: „განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესა და მის ფარგლებს გარეთ 2021-2030 წწ“. საქართველო აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შემუშავების პროცესში, რომლის დანერგვის საერთაშორისო პასუხისმგებლობაც 2016 წლის ბრიუსელის დეკლარაციით ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა პოლიტიკური განცხადებით დაადასტურეს. ევროპის საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობის წყალობით, საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ჩარჩოს საგანმანათლებლო პრაქტიკაში დანერგვა განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურზე და მიღებულ გამოცდილებას სხვა ქვეყნებსაც უზიარებს.

ასევე, სრულადაა გაზიარებული ევროპის უმაღლესი განათლების, პროფესიული განათლებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, როგორებიცაა: პედაგოგიური სწავლების მხარდაჭერა, უმაღლესი განათლების სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება და ინოვაციური სწავლების აღიარება კარიერული წინსვლისთვის, ასევე უმაღლეს განათლებაში სოციალური მიმართულების გაძლიერება და სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა. მოზრდილთა სწავლების განახლებული ევროპული დღის წესრიგის რეზოლუციის შესაბამისად კი, საქართველო ასევე ვალდებულია, მნიშვნელოვნად გაზარდოს ზრდასრულთა მონაწილეობა ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში და მიაღწიოს წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერებისა და ციფრული უნარების მინიმალურ დონეს ზრდასრულებში. პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით, უნდა შეიქმნას უნარების, კომპეტენციების, კვალიფიკაციებისა და პროფესიების ევროპულ ჩარჩოსთან (ESCO) თავსებადი ინსტრუმენტი.

ევროპული კვლევისა და ინოვაციის სფეროს ახალი დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველო მხარს უჭერს მართვის ევროპული პარადიგმის დამკვიდრებას სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური ბაზის გაძლიერებას, საზოგადოებისათვის კვლევისა და ინოვაციის მნიშვნელობის წარმოჩენას და ამ მიმართულებით ინვესტიციების ზრდას. საერთო ევროპული განათლებისა და კვლევის სფეროებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის რეფორმის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება დაფინანსების პრიორიტეტების სახელმწიფოს საზოგადოებრივი და ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად განსაზღვრას, მონიტორინგისა და შეფასების გამჭვირვალე სისტემის დანერგვას, ასევე ციფრული და მწვანე ტრანსფორმაციის მხარდაჭერას.

ვინაიდან საქართველოს მთავრობამ მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტით, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 6 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს, მდგრადი განვითარების (SDGs) 17-ივე მიზანი ეროვნულ პრიორიტეტად დაასახელა, აღსანიშნავია, რომ ახალი ერთიანი სტრატეგია მისწრაფვის ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობისკენ, ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფისკენ, რაც მჭიდროდ უკავშირდება მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს:

- მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;
- მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
- მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
- მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

სტრატეგია შეესაბამება განათლების უფლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის ძირითად ინსტრუმენტებს, რაც შესაძლებელს გახდის ეფექტურად იქნეს გამოყენებული საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულების პროცესის მართვის ბერკეტები ისეთი, საერთაშორისო კონვენციებისა და აქტების შესაბამისად, როგორებიცაა: იუნესკოს 1960 წლის განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია; გაეროს 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი; 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ; 2014 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, იუნესკოს 1994 წლის სალამანკას დეკლარაცია “ინკლუზიური განათლების შესახებ” და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. საქართველოს განათლების სისტემა, როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის მიმართულებით, ითვალისწინებს ევროპის საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიის პრინციპებს. ქარტიის დანერგვის ხელშესაწყობად ხორციელდება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი არაერთი პროექტი. ამასთანავე, ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ქარტიის დანერგვის შეფასებაში.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მჭიდრო უწყებათაშორის თანამშრომლობას და ასევე, განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის კავშირს ეროვნული პოლიტიკის შესაბამის დოკუმენტებთან, რომლებიც ფოკუსირებულია ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მიგრაციაზე, გარემოს დაცვაზე, სოფლის განვითარებაზე, სამოქალაქო

ინტეგრაციასა და ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარემოს განვითარებაზე. ამასთანავე, დოკუმენტი ითვალისწინებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, გაეროს სააგენტოები და სხვ.) მიერ განათლებისა და მეცნიერების სექტორში გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად შემუშავებულ რეკომენდაციებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მონიტორინგის და შეფასების სისტემის გაუმჯობესება განათლებაში; მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება; მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციების სისტემის განახლება და საქართველოს კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება²⁴.

2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის შემუშავებისა და შემდგომ იმპლემენტაციის პროცესში არანაკლები ყურადღება დაეთმო განათლებისა და მეცნიერების სისტემასთან დაკავშირებული მონაცემების ხარისხისა და შედარებითობის გაუმჯობესებას. სტრატეგიის ჩარჩო ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას და მონაცემების ანალიზის თავსებადობას იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

2 სიტუაციური ანალიზი

2.1 სიტუაციური ანალიზის შემუშავების მეთოდოლოგია

განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია, როგორც უკვე აღინიშნა, შემუშავდა საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების შესაბამისად. მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო 2020 წლის აგვისტოში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული სემინარით, რომელზეც განხილულ იქნა სტრატეგიის შემუშავების ძირითადი მოთხოვნები, მათ შორის სიტუაციური ანალიზის განვითარების პრინციპები.

სიტუაციური ანალიზის განხორციელება და პრობლემის ხის ანალიზის მეთოდის გამოყენება პირველად შემოთავაზებული იყო პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ, რომელმაც ასევე ჩართო სხვა დაინტერესებული მხარეები პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების გადაჭრის პროცესში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დონეზე 2021 წელს, თებერვალსა და მაისში, ჩატარდა 2 სემინარი იმ მიზნით, რომ სტრატეგიის შემუშავებისათვის ჩამოყალიბებულიყო პოლიტიკური მიდგომა, მათ შორის, ჩატარებულიყო პრობლემის ხის მეთოდოლოგიის თემაზე ტრენინგი.

სპეციალური ქვესექტორული ჯგუფები ჩამოყალიბდა სამინისტროს დეპარტამენტების მასშტაბით, რაც, ასევე, სტრატეგიის შექმნის პროცესში ჩასართავად აერთიანებდა ექსპერტებსა და გარე აქტორებს, დაინტერესებულ მხარეებსაც.

საწყის ეტაპზევე ჩატარდა ყოვლისმომცველი კვლევები თითოეულ ქვესექტორულ ჯგუფში პოლიტიკის საკითხების მიმოხილვისა და სამინისტროსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის დისკუსიების გასამართავად. დროებით ჩამოყალიბებულმა ჯგუფებმა ჩაატარეს ფოკუსჯგუფების ინტერაქტიული შეხვედრები შესაბამის ქვესექტორებში ძირითადი პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზების და მოსალოდნელი ეფექტების გასაზიარებლად. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე სამოქალაქო საზოგადოებიდან, სამეცნიერო-აკადემიური წრიდან, საჯარო და კერძო სექტორიდან იმისათვის, რომ სტრატეგია დაფუძნებული ყოფილიყო საერთო ხედვაზე. საერთო ჯამში, გაიმართა 25-მდე ფოკუსჯგუფის შეხვედრა, რომელიც 200-ზე მეტ მონაწილეს მოიცავდა, 4-დან 11-მდე მონაწილით თითო შეხვედრაში.

პრობლემის ხის ანალიზის მეთოდი იყო გამოყენებული პრობლემების გამოსაკვეთად და პრობლემების გამომწვევი და მისი მოსალოდნელი შედეგების მიმოხილვისათვის. ფოკუსჯგუფის შეხვედრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პრობლემის ხის მეთოდის სწორ გამოყენებაში, ძირითადი მიგნებების, პრობლემების და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისა და რელევანტური მონაცემებისა თუ ემპირიული ცოდნის გამოყენების გზით. ქვესექტორული ფოკუსჯგუფების შეხვედრებისა და დისკუსიების განმავლობაში, პრობლემის ხის მეთოდი ხშირად შეიცვალა და შესწორდა ქვესექტორული და ზოგადად, განათლების, კვლევისა და ინოვაციების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული შედეგების სინთეზირება განხორციელდა თანმიმდევრულ სიტუაციურ ანალიზთან, რომელიც თანდათანობით დაიხვეწა სტრატეგიის შექმნის პროცესში. სიტუაციურმა ანალიზმა უზრუნველყო განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის ძირითადი მიზნების, ამასთანავე, პრიორიტეტების, ამოცანების, გავლენის და შედეგის ინდიკატორების, მონაცემთა წყაროების განსაზღვრა, რომლებიც წარმოდგენილია ლოგიკური ჩარჩოს ძირითად ნაწილში და მოცემულ სტრატეგიაში.

შეხვედრებისა და წერილობითი კომუნიკაციის საშუალებით უკუკავშირისა და კომენტარების მოწოდება ეთხოვათ დონორ ორგანიზაციებს. ფაქტების დადგენის/დაზუსტების მიზნით შეხვედრები ჩატარდა შერჩეული სსიპ-ების მიერ.

2.2 მოსახლეობა და ეკონომიკა

მდგრად ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, საქართველო ხასიათდება მოსახლეობის დაბერების ტენდენციით, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სხვადასხვა სექტორსა და სფეროზე, ოჯახის მწარმოებლურობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 3.728 მილიონს შეადგენს (51.8% ქალი და 48.02% მამაკაცი), მოსახლეობის 32% დედაქალაქში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საშუალო ასაკი 39.9 წელია ქალებისთვის და 35 მამაკაცებისთვის, მოსალოდნელია რომ მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, 2030 წლისთვის, 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი გაიზრდება 15,3 % – იდან (2020 წ) 18,5 % -ამდე.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად იზრდება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა და 2019 წელს 69.8 წელი შეადგინა მამაკაცებისთვის და 78.4 წელი ქალებისთვის. თუმცა შობადობის საერთო მაჩვენებელი 2014-2019 წლებში, 2,3–იდან 2,0–ამდე შემცირდა, ხოლო 1000 მოსახლეზე სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი 13,6-იდან 12,5-ამდე მერყეობს.

მსოფლიო ბანკის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო მიეკუთვნება საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფს, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 4,274,6 აშშ დოლარს. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2010 წლიდან 2019 წლამდე 17,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19,5% შეადგინა, ხოლო 2020 წელს 21,3% დაფიქსირდა. ამასთანავე, ეკონომიკური ზრდის ფონზე, საქართველოში სოციალური უთანასწორობის ინდექსი (ჯინის კოეფიციენტი) შემცირების ტენდენციით ხასიათდება და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2020 წელს, მთლიან შემოსავლებთან მიმართებით 0.37 % შეადგინა, მაშინ როცა უმუშევრობის დონე ამავე წლის მონაცემებით 18.5 % -ს აღწევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლილებები გავლენას ახდენს განათლების სექტორზე. მიუხედავად ეკონომიკის ზრდის ტენდენციისა, მნიშვნელოვანია, განათლების სექტორმა დანერგოს მთელი ცხოვრების მანძილზე

სწავლების პარადიგმა. ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია განათლების სისტემამ შექმნას სწავლისა და კომპეტენციების განვითარების უწყვეტი შესაძლებლობები ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. აუცილებელია ხარისხიან ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჭირო კომპეტენციებისა და ახალი უნარების შექმნის შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის.

2.3 მიღწევები განათლების და მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორში

საქართველომ მიაღწია მაღალი მონაწილეობის მაჩვენებლებს ზოგად და უმაღლეს განათლებაში. თითქმის აბსოლუტურია სავალდებულო ზოგადი (დაწყებითი და საბაზო) განათლების მიღების მაჩვენებელი. სკოლამდელი განათლების საფეხურზე განსაკუთრებით მაღალია „სასკოლო მზაობის პროგრამებში“ 5-6 წლის ბავშვების მონაწილეობა. ამჟამად, 5-6 წლის ასაკის ბავშვების 87.3% სარგებლობს აღნიშნული პროგრამით (MICS Georgia 2018, ცხრილი LN.2.1). მიუხედავად დადებითი დინამიკისა, შედარებით დაბალია საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და დასრულების მაჩვენებლები, თუმცა მონაცემები განსხვავდება გეოგრაფიული არეალის მიხედვით (UNESCO Institute of Statistics, 2020). ამასთანავე, თითქმის უნივერსალურია გოგოების ჩარიცხვის მაჩვენებელი დაწყებით და საბაზო განათლების საფეხურებზე, ასევე უმაღლეს განათლებას იღებს უფრო მეტი ქალი, ვიდრე კაცი (მსოფლიო ბანკი, 2021). საგრძნობლად გაიზარდა პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობაც, 2021 წლის მიღების ფარგლებში აპლიკანტთა რაოდენობამ თითქმის 19 000-ს მიაღწია. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებლები ასევე საგრძნობლად გაიზარდა 2012-2021 წლებში და 28% -იდან თითქმის 63,4%-ს მიაღწია (GEOSTAT, 2021).

დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მხარდასაჭერად. 15-18 წლის ახალგაზრდების წილი პროფესიულ განათლებაში უფრო დაბალია, თუმცა ზრდადი დინამიკით ხასიათდება, ბიზნესის მხრიდან ტექნიკურ კომპეტენციებზე მზარდი მოთხოვნის გამო. 2017 წელს რეგისტრირებულთა 20% იყო 18 წლამდე ასაკის, 2019 წელს კი ამ მაჩვენებელმა 21%-ს მიაღწია. პროფესიული განათლების პროგრამებში უმეტესწილად 19-24 წლის ახალგაზრდები არიან ჩართულნი, მათი წილი ყოველწლიურად 40%-ს აჭარბებს. ამავდროულად, ჩარიცხულ სტუდენტთა უმრავლესობ 19-დან 29 წლამდე პირია (მათი წილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულთა შორის 50%-ზე მეტია).

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროაქტიულად ზრუნავს შექმნას ინკლუზიური და ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემა, სადაც სასწავლო პროცესში ჩართული ნებისმიერი პირი შეძლებს ხარისხიანი განათლების მიღებას და სასწავლო პროცესში აქტიურ თანამონაწილეობას.

2012-2020 წლებში, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რიცხვი 500-იდან 11,281-ამდე გაიზარდა. სსსმ მოსწავლეები ირიცხებიან 1244 სკოლაში და მათ მიზნობრივ დახმარებას უწევს 1400-ამდე სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, პერსონალური ასისტენტი, ქესტური ენის თარჯიმანი და სხვ.) (EMIS, 2021). მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ზოგადი განათლების სისტემაში სოციალური მუშაკების გაჩენა და სოციალური მუშაობის დანერგვა, რაც აუმჯობესებს სასკოლო კლიმატს, ამცირებს სკოლის ნაადრევად მიტოვების მაჩვენებლებს.

პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა 2013 წლიდან დაიწყო და დღემდე სისტემაში 1000-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გარდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა, ხელმისაწვდომია სხვა დამხმარე სერვისები, როგორც არის ქესტური ენის თარჯიმანი, მობილობის ტრენერი და სხვა. ხოლო ეროვნული უმცირესობების ჩართულობის მხარდასაჭერად შემუშავებულია ქართულ ენაზე დარგობრივ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული სასწავლო რესურსები პროფესიების მიხედვით, რაც ბენეფიციარს შეიძლება დაეხმაროს ქართულ ენაზე პროფესიული სასწავლო პროგრამების დაძლევაში.

განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ხარისხის გაუმჯობესების, ინკლუზიური და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სისტემის განვითარების მიმართულებებით. ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში მთავრობამ დაიწყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რომელიც შემუშავდა ესტონელ ექსპერტებთან ერთად, ესტონეთის მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ასევე დაიწყო ახალი, გაუმჯობესებული და სწავლების თანამედროვე მიდგომების შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა. სწავლა-სწავლების ხარისხის ზრდის, საგანმანათლებლო ლიდერების მომზადების, სკოლაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარებისა და მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის

ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2021 წ.). ამასთანავე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემამ შექმნა პროფესიაში შესვლის და კარიერული წინსვლის უკეთესი შესაძლებლობები. კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დისტანციური სწავლების მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროექტი "ტელესკოლა", რომლის დაფარვის არეალი, პრაქტიკულად, მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება და I-XII კლასების ჩათვლით მოსწავლეებს საინტერესო გაკვეთილებს სთავაზობს. ასევე, Microsoft Office 365 TEAMS-ში შეიქმნა ყველა სკოლის კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები. სკოლებისთვის შეიქმნა Microsoft Office 365-ის მომხმარებლის პროფილი (528 327 მოსწავლე და 52 124 მასწავლებელი). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები, სარგებლობენ შეღავათიანი მობილური ინტერნეტ-პაკეტით.

პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში დამტკიცდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის მიღებამ შესაძლებელი გახადა სისტემის განვითარება და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო დაახლოება. ჩამოყალიბდა სტრუქტურული და შინაარსობრივი კავშირები პროფესიულ განათლებასა და განათლების სხვა დონეებს შორის და აღმოიფხვრა ე. წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“. დაიწყო პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის ინტეგრირების პროცესი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახალი კანონის საფუძველზე, ასევე ჩამოყალიბდა ზრდასრულთა განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების ფორმალიზება.

გაიზარდა პროფესიული განათლების დაფინანსება და შეიცვალა პროფესიული განათლების დაფინანსების წესი 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით. სახელმწიფო დაფინანსების სისტემაში ჩაერთნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი კერძო პროვაიდერები. 2021 წლიდან ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომლის თანახმად 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში შესაძლებელი გახდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ ყველა კერძო დაწესებულებაში.

2020 წლის თებერვალში დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში.

2019 წლიდან სისტემაში დანერგილი ყველა პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით, რომელიც ხასიათდება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობით, სწავლის შედეგებზე ორიენტაციით, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებითა და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომებით. პროფესიული განათლების საფეხურზე, მეწარმეობრივი აზროვნების განვითარების მიზნით, მომზადდა და პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად განისაზღვრა მეწარმეობის მოდული.

დაინერგა 30-ზე მეტი დუალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების პროცესშიც ჩართულია 50-ზე მეტი კერძო კომპანია. დუალური პროგრამის განხორციელებას ერთობლივად უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულება და პარტნიორი კომპანია (დამსაქმებელი) და სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ გარემოში.

ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომლის საფუძველზეც 2021 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთობლივად დააფუძნეს „პროფესიული უნარების სააგენტო“. მთავარი პრინციპი, რომელიც პროფესიული განათლების მართვისა და განვითარების პროცესს წარმართავს, არის თანამონაწილეობა, ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების აქსელერაცია საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობების გაზიარების გზით.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმა პოზიტიურად აისახა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებელზე. 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 20%-ით არის გაზრდილი 2014 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით (2014 წელი – 42%; 2019 წელი – 62%).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შედეგსა და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების ხელშეწყობის მიზნით დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირება და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურები განახლდა უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად (ESG, 2015).

აღსანიშნავია მიღწეული პროგრესი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა პროგრამის “ერაზმუს+” ფარგლებში საერთაშორისო მოკლევადიანი მობილობის სტიპენდიების მიღების მაჩვენებლით და 141 ქვეყნიდან მე-6 ადგილს იკავებს (ეროვნული “ერაზმუს+”-ის ოფისი; www.eurostudent.eu). სულ 10 400-ამდე სტიპენდიაა გაცემული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, 37 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან, ევროპის 33 ქვეყანაში, ხოლო 30-ზე მეტი დაწესებულება ჩართულია უმაღლესი განათლების შესაძლებლობების განვითარების პროექტებში. ამ მიღწევების გათვალისწინებით, საქართველომ ოფიციალურად წარადგინა განაცხადი პროგრამის “ერაზმუს+” ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია გაცვლითი პროგრამების შესახებ ორმხრივი შეთანხმებების ფარგლებში მიღწეული შედეგები. 2015 წლიდან საქართველოს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების პროგრამამ შესაძლებელი გახადა მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) წამყვანი პროგრამების აკრედიტაციის მოპოვება, სტუდენტების მომზადება STEM სფეროებში და ინფრასტრუქტურის განახლება. შესაბამისად, დაიწყო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკრედიტაციის საბჭოს (ABET) მიერ აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამების განხორციელება, რომლებსაც უკვე ჰყავთ წარმატებულ კურსდამთავრებულთა 5 კოჰორტა, რომელთა დაახლოებით 1/3 ქალია. ამასთანავე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რეაბილიტაციის შედეგად აღიჭურვა ქიმიის ლაბორატორიები, ელექტრო-საინჟინრო ლაბორატორიები, სამშენებლო ლაბორატორიები და პრაქტიკული მუშაობის სივრცეები (სულ 8900 მ² საგანმანათლებლო სივრცე).

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაფუძნება, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარმოადგენს მსოფლიო დონის უნივერსიტეტს დედაქალაქის გარეთ და მიზნად ისახავს გახდეს სწავლის, კვლევისა და ტექნოლოგიების ცენტრი რეგიონში. ამასთან, შრომის ბაზრის საჭიროებების საპასუხოდ ახალი ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის პროექტი უზრუნველყოფს განათლების მიწოდებას ტურიზმის სფეროში, სოფლის მეურნეობაში, ინფორმატიკასა და გამოყენებით მათემატიკაში.

ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კვლევის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სისტემის გასაძლიერებლად. 2016 წლიდან საქართველო გახდა Horizon 2020-ის ასოცირებული წევრი, რამაც შექმნა თანამედროვე კვლევისა და ინოვაციების სისტემის

განვითარებისათვის თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალი შესაძლებლობები. 2018 წელს ევროპის კომისიის მხარდაჭერით შემუშავდა Horizon 2020 პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმის ანგარიში, რომელიც აღწერს ყოვლისმომცველ გამოწვევებს მეცნიერების, ინოვაციისა და ტექნოლოგიების სფეროში და გამოკვეთს განვითარების ძირითად მიმართულებებს (Guida et al., 2018). ინოვაციისა და სტარტაპების ეკოსისტემა გაძლიერდა ახალი ინოვაციური სტარტაპების ხელშეწყობის, მეწარმეობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების, ქვეყნის მასშტაბით ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისა და ინოვაციებზე ორიენტირებული და სტარტაპებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავების გზით.

პირველი ნაბიჯები გადაიდგა კვლევასა და ბიზნეს შორის კავშირის გაძლიერებისკენ. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განაახლა კვლევითი დაფინანსების სქემა, ხოლო 2019 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინოვაციური ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის პროექტის ფარგლებში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ დაიწყო ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის განხორციელება ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის მხარდაჭერის მიზნით.

მთავრობის სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულმა კოვიდ-19-ზე რეაგირების პოლიტიკამ, რომელიც შექმნილია ქვეყნის წამყვანი მეცნიერების დახმარებით, გამოავლინა მეცნიერების ღირებულება საზოგადოებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახალგაზრდების დაინტერესებას STEM მიმართულებით და მათ ჩართვას კვლევისა და ტექნოლოგიების სფეროში.

2.4 გამოწვევები განათლებისა და მეცნიერების ხარისხისა და რელევანტურობის მიმართულებით

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, განათლების ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევები თავს იჩენს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, რაც გამოიხატება დაბალ აკადემიურ მიღწევებსა და განათლების სხვადასხვა საფეხურის დამღვევის სირთულეში. საერთაშორისო შედარებითი კვლევები: მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS), წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) და მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA), აგრეთვე ეროვნული შეფასებები აჩვენებენ, რომ მოზარდებს აქვთ სუსტი საბაზისო კომპეტენციები. მაგალითად, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) 2018 წლის შედეგების მიხედვით, 78 მონაწილე ქვეყანას შორის, საქართველოში 15 წლის მოზარდებმა მათემატიკაში 67-ე, კითხვაში 71-ე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 74-ე ადგილი

დაიკავეს. საქართველოში სკოლის მოსწავლეები სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების თანატოლებთან შედარებით უფრო დაბალ ქულებს იღებენ და სამივე მიმართულებით მიღწევების უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020).

ამასთანავე, მოსწავლეები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას წყვეტენ, რჩებიან ფორმალური განათლების გარეშე (ჯანაშია, 2017). ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის მქონე მოსწავლეთა საშუალოდ 15-20%-მა შეწყვიტა სწავლა სავალდებულო განათლების დასრულების შემდეგ ან ვერ ჩააბარა საშუალო საფეხურის დამამთავრებელი (საატესტატო) გამოცდები (ბოჭორიშვილი და ფერანიძე, 2020).

კვლავ გამოწვევად რჩება პროფესიული განათლების სექტორის მცირე ზომა და მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, რის გამოც პროფესიული განათლების გავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე შეზღუდულია.

ასევე საგულისხმოა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, რომელიც უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლის წინაპირობაა, წარუმატებლობის მაჩვენებელი 25% - იდან 35% -მდე მერყეობს. ამასთან, უმაღლესი განათლების დაგვიანებით დასრულება და სწავლის წარმატებით დამთავრების დაბალი მაჩვენებელი ამცირებს უმაღლესი განათლების ეფექტურობას.

საქართველოსთვის კურსდამთავრებულების შემდგომი დასაქმება და სასწავლო პროგრამებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, განსაკუთრებით კი ტექნოლოგიების განვითარებისა და დიგიტალიზაციის გათვალისწინებით. 15-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის ყოველი მეოთხე არ სწავლობს, არ არის დასაქმებული და არც გადამზადებას გადის. როგორც ზოგადი, ისე პროფესიული და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს ხვდებათ სირთულეები შრომის ბაზარზე გადასვლის პროცესში (ევროპის განათლების ფონდი, 2019). კურსდამთავრებულთა შორის მაღალია როგორც უმუშევრობის (5%), ისე კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმების მაჩვენებელი (25%). უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულთა მესამედზე მეტი მუშაობს მათი კვალიფიკაციისთვის შეუსაბამო სამუშაოებზე (ევროპის განათლების ფონდი (ETF), 2019).

მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით, კომპანიები და დამსაქმებლები პრობლემად კურსდამთავრებულთა ისეთი სპეციფიკური უნარების გაძლიერების საჭიროებას ასახელებენ, როგორებიცაა: ლიდერობა, შემოქმედებითი აზროვნება და ინგლისური ენის ცოდნა. მოსწავლეების ინგლისური ენის ფლობის დონე, მასწავლებლის ინგლისური ენის ფლობის დონე და მასწავლებელთა სწავლების უნარი უფრო მნიშვნელოვან პრობლემას

წარმოადგენს სოფლად/რეგიონებში. ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2019 წელს ჩატარებულმა უნარებზე საჭიროებათა მოთხოვნის კვლევამ აჩვენა დამსაქმებლის მიერ უნარების შეფასება პროფესიული ჯგუფების მიხედვით. პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამები სრულფასოვნად ვერ ითვალისწინებს შრომის ბაზარზე სხვადასხვა პროფესიების მიმართ მოთხოვნის ზრდას, განსაკუთრებით კი თანამედროვე პროფესიების მიმართულებით. ასევე, სუსტია ბიზნესთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

განათლების ყველა საფეხურზე განათლების ხარისხსა და რელევანტურობასთან დაკავშირებული გამოწვევების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია სწავლების ხარისხი და მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია. საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღმზრდელ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი არ ფლობს საკმარის კომპეტენციას უპასუხოს მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს, დაგეგმოს და განახორციელოს დიფერენცირებული სასწავლო პროცესი. ამასთანავე, საუნივერსიტეტო პროგრამაში ინტეგრირებული რამდენიმე კრედიტიანი მოდული მასწავლებლებს უქმნის მხოლოდ ბაზისურ წარმოდგენას ინკლუზიური განათლების პრინციპებზე და სრულიად არ კმარა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

პირველ ყოვლისა, მასწავლებლობა ჯერ კიდევ რჩება არამიმზიდველ კარიერულ არჩევნად, რაზეც მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ შესაბამის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულთა შორის დიდია დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტების წილი, რომლებსაც ასევე დაბალი შედეგები ჰქონდათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. მასწავლებლის კარიერა ნაკლებად მიმზიდველია დაბალი ანაზღაურების გამოც: საჯარო სკოლამდელ დაწესებულებებში პერსონალს სამჯერ დაბალი ხელფასი აქვს საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018). მიუხედავად ბოლოდროინდელი გაუმჯობესებისა, კერძოდ, 2019 წლის სექტემბრიდან ხელფასის 20%-იანი ზრდისა, ზოგად განათლებაში ხელფასი ყველაზე დაბალია სხვა სექტორებთან შედარებით (საქსტატის მონაცემები 2014-2019 წლებში). უმაღლეს განათლებაში, ძალიან დაბალი ანაზღაურების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ხელფასი 2015 წელს 250%-ით გაიზარდა, თუმცა ის ჯერ კიდევ დაბალია.

სკოლებში მასწავლებელთა განაწილება არაოპტიმალურია. ქალაქებისგან მოშორებით და სოფლად მდებარე სკოლებში მოსწავლეთა კლებადი რიცხვი და დიდ ქალაქებში გადატვირთული საჯარო სკოლები განაპირობებენ მასწავლებელთა არაეფექტურ გადანაწილებას როგორც რაოდენობრივი და გეოგრაფიული ნიშნით, ასევე საგნობრივი პერსპექტივიდანაც. ზოგიერთი საგანი ან საგნობრივი ჯგუფი მასწავლებლების ჭარბი რაოდენობით ხასიათდება, ხოლო დეფიციტი შეიმჩნევა ისეთი მიმართულებებით

როგორებიც არის, მაგალითად, მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა, STEM-ის ზოგიერთ დარგში და ქართული, როგორც მეორე ენა.

მოქმედი მასწავლებლების, ასევე მასწავლებლობის მსურველების მომზადება-გადამზადების სისტემა არ არის სათანადოდ განვითარებული და ეფექტური. საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის დიდ ნაწილს არ აქვს შესაფერისი კვალიფიკაცია. დასაქმებულთა უმრავლესობამ განათლება საბჭოთა კავშირის პერიოდში მიიღო და მას შემდეგ, მოკლებულია პროფესიული გადამზადების შესაძლებლობებს (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018). ამასთანავე, კარიერული წინსვლა ეფექტური სწავლების დემონსტრირებაზე მეტად დამოკიდებულია ისეთ ფორმალურ პროცედურაზე, როგორცაა კრედიტების მოპოვება კარიერული წინსვლისთვის (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021). ცენტრალიზებულად მართული მასწავლებელთა ტრენინგებისა და გადამზადების სისტემაში პროფესიული ორგანიზაციები არასაკმარისად მონაწილეობენ. სკოლის დირექტორებს და მასწავლებლებს არ აქვთ შესაბამისი შესაძლებლობები და ინსტრუმენტები, რათა განსაზღვრონ და შეაფასონ თავიანთი ინდივიდუალური საჭიროებები სკოლის მართვის, ასევე პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციების გაუმჯობესების მიმართულებით.

მასწავლებლები ჯერ კიდევ სრულფასოვნად ვერ იზიარებენ მიმდინარე რეფორმების ღირებულებასა და მიზნებს, კერძოდ, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მიდგომებს, განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას და განმსაზღვრელი საკლასო შეფასებისა და გამოცდების საგანმანათლებლო ღირებულებას (Leeetal, 2019).

უმაღლესი განათლების სფერო, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტის გარდა, ნაკლებად არის ფოკუსირებული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე მოქმედი პერსონალის პროფესიული გადამზადების გზით და ზოგადად, ამ სფეროში ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლების ხარისხს კარიერული წინსვლის პროცესში.

პედაგოგიური უნარების ნაკლებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ზრდასრულთა განათლების მიმართულებითაც. ზრდასრულების სწავლებისთვის საჭირო პროფესიული განათლების დაწესებულებებში მასწავლებელთა უმეტესობა დარგობრივი სპეციალისტია, თუმცა არ მიუღია შესაბამისი პედაგოგიური მომზადება ზრდასრულებისთვის სასწავლებლად. იმ კომპანიებში, რომლებშიც სტუდენტები დუალური პროფესიული განათლების პროგრამის ფარგლებში გადიან მომზადებას, ინსტრუქტორების დაბალი პედაგოგიური კომპეტენციები გავლენას ახდენს პროგრამების ხარისხზე, გასაკუთრებით კი იმ დაწესებულებებში, რომლებშიც მასწავლებელთა შედეგებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდები ნაკლებადაა განვითარებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განკუთვნილი ტრენინგ-პროგრამები ნაკლებად რეგულირებულია: მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზაზე არსებული არასავალდებულო ტრენინგ მოდულები არ არის საკმარისი, რომ მასწავლებლები აღჭურვოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების სწავლებისთვის შესაბამისი მეთოდური ცოდნით. გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი კერძო ორგანიზაციები უფრო მეტად ახერხებენ საკონსულტაციო სააგენტოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვას, რათა დაეხმარონ თავიანთ ტრენინგებს შესაძლებლობების გაძლიერებასა და ზრდასრულთა განათლების პრინციპების უკეთ გაცნობაში.

ინკლუზიური განათლების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს იმ სპეციალისტების (აღმზრდელ-პედაგოგები, მასწავლებლები, ლექტორები) კვალიფიკაციის ზრდა და კომპეტენციის ამაღლება, რომლებიც სსსმ პირებს (ბავშვი, მოსწავლე, სტუდენტი) ასწავლიან. მნიშვნელოვანია, პროფესიულ სტანდარტებსა და დარგობრივ მახასიათებლებში სათანადოდ აისახოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც უნდა ფლობდნენ აღნიშნული პირები სსსმ პირთათვის ხარისხიანი განათლების მისაღებად. ხელმისაწვდომი გახდეს ხარისხიანი და მრავალფეროვანი ტრენინგები. ინკლუზიური განათლების საკითხები სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული და ინტეგრირებული პრაქტიკოსთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობებში, მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებსა და ტრენინგ-კურსებში.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხარისხი განისაზღვრება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციით. ამჟამად კარიერული სისტემა, ანაზღაურება, საპენსიო პოლიტიკა და სადოქტორო პროგრამები საკმარისად არ უწყობს ხელს მაღალკვალიფიციური და ეფექტური უმაღლესი განათლებისა და კვლევის სფეროების პერსონალის განვითარებასა და შენარჩუნებას. კარიერის საწყის ეტაპზე მყოფი მკვლევარებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობები შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან, ჰქონდეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები, თუმცა არ არსებობს შესრულებულ სამუშაოზე დაფუძნებული წახალისების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა აკადემიურ და კვლევით პერსონალს სრულად გამოეყენებინათ თავიანთი პოტენცია მთელი კარიერის განმავლობაში. აგრეთვე არ არსებობს პოლიტიკა ან წამახალისებელი მექანიზმები აკადემიური და კვლევითი პერსონალის როტაციის მხარდასაჭერად და ახალი კადრების მოსაზიდად.

საქართველოში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აკადემიური და სამეცნიერო პერსონალიდან მკვლევარების მხოლოდ 11.7% არის 25-34 წლის და იმყოფება კარიერის

საწყის ეტაპზე (საქსტატი, 2019 წლის მონაცემები), ხოლო ზოგადად, მკვლევართა 70% არააქტიურია.

საქართველოში ნაკლებად არის წარმოდგენილი სტრუქტურირებული სადოქტორო სწავლების სისტემა, ასევე დასახვეწია დოქტორანტების ხელმძღვანელობისა და მომზადების ფორმებიც. მხოლოდ რამდენიმე ეფექტური სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს, რომლებიც თანამშრომლობენ ბიზნესსა და ინდუსტრიასთან. ასევე შეიმჩნევა მდგრადი კვლევითი პროექტების ნაკლებობაც, რომელთა არსებობა ხელს შეუწყობდა სადოქტორო კანდიდატების მოზიდვას. 8000-ზე მეტი დოქტორანტს სტატუსი აქვს შეჩერებული (მთლიანი რაოდენობის 59%, 2019 წ.), მათი სწავლების ვადები საკმაოდ ხანგრძლივია, დასრულების მაჩვენებელი დაბალია და მხოლოდ 35%-ს შეადგენს: 2010 წელს ჩარიცხულ დოქტორანტთა მხოლოდ მესამედს აქვს დასრულებული სწავლა 2017 წლამდე, რაც მიუთითებს სექტორის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მათი სტუდენტების სტიმულირებას სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ძირითადი წყარო არის სწავლის საფასურის გადასახადი, რომელსაც ფარავს სახელმწიფო გრანტები და შინამეურნეობები (მსოფლიო ბანკი, 2018). საჯარო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური უცვლელია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. დაფინანსების მოქმედ სისტემას, რომლის ფარგლებშიც „ფული მიჰყვება სტუდენტს“, საგულისხმო ხარვეზები აქვს. კერძოდ: არსებული სისტემა დიდ ტვირთად აწევს ოჯახებს; ახალისებს სასწავლებლებს მაქსიმალურად გაზარდონ სტუდენტთა რაოდენობა და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა სფეროში სასწავლო პროგრამების განხორციელების ხარჯები ერთმანეთისგან განსხვავდება (მაგალითად: მედიცინის, სახელოვნებო განათლების პროგრამების მაღალი თვითღირებულება შესაბამისი აღჭურვილობის საჭიროების გამო).

ფიზიკური და მზარდი ციფრული სასწავლო გარემო დიდ გავლენას ახდენს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესზე და შედეგებზე, ასევე განათლებისა და კვლევის სფეროში დასაქმებულთა კეთილდღეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს მასშტაბური პროექტები, ძველი სასკოლო დაწესებულებების განახლება და აღჭურვა, ჰიგიენისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს. ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრესი არათანაბარია დიდ ქალაქებსა და მცირე დასახლებებს შორის. 2 000-ზე მეტი სკოლის მოვლა-პატრონობა ხუთი მილიონი კვადრატული მეტრის ფართობზე სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან წილს საჭიროებს. არსებითია ადგილობრივ თემებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათი ჩართულობის გაზრდა, პრობლემების მოგვარების ახალი გზების მოძიება, მათ შორის, ერთ-ერთი

გამოსავალი შესაძლოა იყოს განათლების სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ სივრცეში ინტეგრირება.

კვლევის, ტექნოლოგიის და ინოვაციების სფეროში, მოძველებული და ფრაგმენტირებული ინფრასტრუქტურა, აგრეთვე შესაბამისი დაწესებულებების მიერ ძვირადღირებული და თანამედროვე აღჭურვილობისა და კვლევითი საშუალებების გაზიარების ნაკლებობა განაპირობებს კვლევის არასათანადო ხარისხს და დაბალ პროდუქტიულობას. შესაბამისად, აუცილებელია რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი განახლება და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის ტემპი, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაზე, განათლების, გადამზადების, კვლევისა და ინოვაციის სისტემისთვის დიგიტალიზაციის პროცესმა ბევრი შესაძლებლობა გამოავლინა, თუმცა, სისტემა გამოწვევების წინაშეც დააყენა. იმის გათვალისწინებით, რომ ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი სამუშაო პროცესის სწრაფ ტრანსფორმირებას ახდენს, განათლების და გადამზადების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტებისა და სამუშაო ძალისთვის ახალი უნარების განვითარებას, ხელს უწყობდეს მათ ადაპტაციას ახალ გარემოსა თუ პროფესიებთან.

პროცესების ავტომატიზება, ხელოვნური ინტელექტისა და რობო ტექნიკის სწრაფი განვითარება გამოიწვევს მზარდ მოთხოვნას ტექნოლოგიურ, სოციალურ, ემოციურ და მაღალ კოგნიტურ უნარებზე, ფიზიკურ და საბაზისო კოგნიტურ უნარ-ჩვევებზე მოთხოვნა კი შემცირდება. ამ თვალსაზრისით, გამოწვევაა არა მხოლოდ უნარ-ჩვევების და კომპეტენციების განვითარება ციფრული ტრანსფორმაციის კვალდაკვალ, არამედ უშუალოდ ციფრული განათლებისა და მეცნიერების ეკოსისტემების განვითარებაც, ამისათვის კი საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, ციფრული კომპეტენციების მქონე კადრები, მომხმარებელზე ორიენტირებული, უსაფრთხო ციფრული პლატფორმები და ინსტრუმენტები და შესაბამისი სასწავლო პროგრამები, რომლებიც ასევე მისაწვდომი იქნება შესაძლებლობების შეზღუდვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სექტორმა მყისიერად უპასუხა პანდემიით გამოწვეულ სირთულეებს, კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ გააღრმავა ციფრული უთანასწორობა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ შეეხო ქალაქებიდან მოშორებით მდებარე სკოლებს და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე პირებს, სსმ და შშმ პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის მარტში, მოსწავლეთა 10%-ს ხელი არ მიუწვდებოდა ინტერნეტსა და შესაბამის მოწყობილობაზე სახლის პირობებში. მათ შორის, დიდ წილად სოფლად მცხოვრებ სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაბამისი მოწყობილობები და არ მიუწვდებოდათ ხელი ინტერნეტზე. საშუალოდ, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მერყეობს 40% იდან 70 %-ამდე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს დონე 15%-ია, უმეტესად, მაღალმთიან და სასოფლო დასახლებებში. მონაცემების მიხედვით, პანდემიამდე ქალაქის სკოლების მოსწავლეების 82%-ს ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა და ასევე ფლობდნენ კომპიუტერებს, ხოლო რეგიონში და სოფლად მცხოვრები მოსწავლეებისთვის ეს მაჩვენებელი 70%-ს შეადგენდა (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (2020) მიხედვით, მოსწავლეთა 4 ჯგუფია სასწავლო დანაკარგების განსაკუთრებული რისკის ქვეშ: სოციალურად დაუცველი მოსწავლეები, შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, მოსწავლეები მრავალშვილიანი ოჯახებიდან და სკოლის მიღმა დარჩენილი მოსწავლეები.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების 56%-ს ხელი მიუწვდება მხოლოდ პირად საკუთრებაში არსებულ, ინტერნეტთან მიერთებულ, ტექნიკურ მოწყობილობასთან. ეს გარემოება კი აისახება მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები სასწავლო პროცესში ციფრული რესურსების გამოყენების, ასევე მასწავლებლების ციფრული კომპეტენციების ფლობის მიმართულებით. კერძოდ, კერძო სკოლების, თბილისის და ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები გაცილებით აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ-ციფრულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში და უკეთ აქვთ განვითარებული ციფრული კომპეტენციები, ვიდრე მათი კოლეგები, რომლებიც დასაქმებული არიან საჯარო, რეგიონში მდებარე თუ არაქართულენოვან სკოლებში. არაქართულენოვან სკოლებს აქვთ დამატებითი პრობლემები, კერძოდ: პროფესიული განვითარების შეზღუდული შესაძლებლობები ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მიმართულებით; არასაკმარისი რესურსები მშობლიურ ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული) TIMSS-ის პლატფორმის გამოყენების მიმართულებით და ზოგადად, აღნიშნულ ენებზე ელექტრონული რესურსების ნაკლებობა (ტაბატაძე და ჩაჩხიანი, 2021).

დაბოლოს, აკადემიური არაკეთილსინდისიერება საფრთხეს უქმნის კვლევისა და განათლების ხარისხს და წარმოადგენს რისკს მთლიანად აკადემიური საზოგადოებისთვის: აკადემიური არაკეთილსინდისიერება იწვევს უნდობლობას განათლების და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხისადმი, ასევე პერსონალის კვალიფიკაციისა

და კვლევის შედეგების მიმართ. გრძელვადიან პერსპექტივაში კი ამან შესაძლოა გამოიწვიოს სექტორის მხარდაჭერისთვის გამოყოფილი საჯარო ფინანსების შემცირება.

უფრო მეტიც, აკადემიური არაკეთილსინდისიერება რისკის ქვეშ აყენებს სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ კარიერას, რადგან სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეუსაბამო კვალიფიკაციითა და უნარ-ჩვევებით. აკადემიური არაკეთილსინდისიერება ასევე საფრთხეს უქმნის დამსაქმებლებსაც და საჯარო უსაფრთხოებასაც. მაგალითად, კლინიკურ კვლევებში, ინჟინერიაში აკადემიურმა არაკეთილსინდისიერებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების სიცოცხლეს. ამჟამად მიუხედავად იმისა, რომ “ერაზმუს+”-ის პროექტ „კეთილსინდისიერების“ ფარგლებში, ანტიპლაგიატი ინტეგრირდა ავტორიზაციის სტანდარტში და გადამზადდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები, არ არსებობს ყოვლისმომცველი და განგრძობადი მიდგომა განათლების თითოეულ საფეხურზე აკადემიური მთლიანობის პრინციპების ხელშესაწყობად. აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე ყურადღების გამახვილება იწყება საკმაოდ გვიან, უმაღლესი განათლების საფეხურზე და მაშინაც ფოკუსირებულია სტუდენტებზე და არა აკადემიურ პერსონალზე. ასევე, დარღვევის ფაქტების აღმოჩენის დროს მხოლოდ რუტინული მიდგომებია გამოყენებული, ნაცვლად იმისა, რომ ხდებოდა ამ დარღვევების პრევენცია სხვადასხვა ტრენინგის მეშვეობით თუ ერთობლივი ძალისხმევით. არსებული პოლიტიკა გადასახედი და განსაახლებელია დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი ყურადსაღებია ახალი საფრთხეები, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ შეიძლება შექმნას გამჭვირვალობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კუთხით.

2.5 გამოწვევები განათლებისა და მეცნიერების სექტორში თანასწორობის, ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების მიმართულებით

არახელსაყრელ პირობებში მყოფი, სოციალურად დაუცველი, სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები, იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტები, ქალები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, აწყდებიან ხარისხიანი განათლებისა და გადამზადების მისაწვდომობის პრობლემას სრული პოტენციალის გამოვლენისა და წარმატების მიღწევისთვის.

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა დასახელებული გამოწვევები, რადგან შექმნა სასწავლო დანაკარგების მაღალი რისკი სპეციალური საჭიროებების და შეზღუდული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური

უმცირესობების და სკოლამდელი ასაკის მოსწავლეთა შორის (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2020).

სასოფლო დასახლებასა და მთიან რეგიონებში მცხოვრებ, განსაკუთრებით კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს და სოციალურად დაუცველი ოჯახებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო სერვისებზე (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018).

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ჩართულობისა და სწავლის დამთავრების მაჩვენებლები განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის, სწავლების ენის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად, ღარიბი და ეკონომიკურად შეძლებული ოჯახების მოსწავლეებს შორის სკოლის დასრულების მაჩვენებლებს შორის განსხვავება 43%-იდან 88%-ამდე მერყეობს (Mizunoya and Mishra, 2020). საერთაშორისო და ადგილობრივი შეფასებების შედეგები მიუთითებს მოსწავლეთა მიღწევების უთანასწორობასა და შეუსაბამობაზე სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების, ადგილმდებარეობის (სოფლის და ქალაქის), სკოლის ტიპის (საჯარო და კერძო) და სწავლების ენის მიხედვით.

არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების მოსწავლეები ვერ აგრძელებენ განათლების მიღებას უმაღლესი განათლების საფეხურზე, რომლის ფინანსური დასაყრდენი შინამეურნეობების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია, შესაბამისად, არსებული სისტემა მცირე ფინანსურ დახმარებას უწევს არახელსაყრელ პირობებში მყოფ სტუდენტებს.

პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი სტუდენტთა საგრანტო დაფინანსების მოქმედი სისტემაა, რომელიც არაეფექტურად იყენებს შეზღუდულ საჯარო რესურსებს. სტუდენტების მცირე ნაწილი იღებს გრანტებს, რომლებიც გაიცემა ერთიან ეროვნული გამოცდებში მიღწეული შედეგის მიხედვით. არსებული სქემით ძირითადად სარგებლობენ სტუდენტობის მსურველები მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებიდან, რომლებიც უკეთ არიან მომზადებული (მსოფლიო ბანკი, 2018), ხოლო არახელსაყრელ პირობებში მყოფი მოსწავლეები და სტუდენტობის მსურველები ვერ აგრძელებენ განათლების მიღებას უმაღლესი განათლების საფეხურზე, რადგან სწავლის ფინანსური უზრუნველყოფა, როგორც უკვე აღინიშნა, შინამეურნეობების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია.

გარდა ამისა, ჩარიცხულ სტუდენტთა მხოლოდ 2% იღებს საჭიროებებზე მორგებულ გრანტებს: ამგვარი გრანტების მოპოვებისათვის სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად განაცხადი შესაძლოა წარადგინონ იმ სტუდენტებმა, რომლებიც

მიეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ჯგუფს (სულ 13 კატეგორია),¹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანხა გაიცემა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების საფუძველზე და შეზღუდულია გრანტების რაოდენობაც. სწავლის პერიოდში, სტუდენტების მეოთხედზე მეტი (26%) მუშაობს სრულ განაკვეთზე და მათი თითქმის ნახევარი (48%) ყოველდღიური ხარჯების დასაფარად (Eurostudent Country Report, 2019). ყოველივე ეს კი უთანასწორო პირობებში აყენებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს. რდის სწავლის მიტოვების მაჩვენებლებს. 11 000 - ზე მეტმა სტუდენტმა შეაჩერა ან შეწყვიტა სწავლა უმაღლესი განათლების საფეხურზე (ტაბატაძე, 2020).

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის ცოდნისა და გამოყენების საკითხი, რაც ქმნის არა მხოლოდ ყოველდღიური კომუნიკაციის, არამედ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღების, დასაქმების, განათლებისა და სერვისებით სრულფასოვნად სარგებლობის პრობლემას, მნიშვნელოვნად აფერხებს მათ ჩართულობას განათლების ნებისმიერ საფეხურზე და ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფლობის საკითხი. განსაკუთრებული ძალისხმევა მიემართება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის (ერთიანი პროგრამა) წარმატებული შესრულებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართულის, ხოლო აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზურის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებას, სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მისი, როგორც საქართველოს მოსახლეობის გამაერთიანებლის როლის გაზრდას, საქართველოში გავრცელებული ენების დაცვასა და განვითარებას. აუცილებელია განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელება ენის, როგორც სახელმწიფო ერთობის მთავარი ფაქტორის განსავითარებლად, ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ცოცხალი კულტურის

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად განაცხადი შესაძლოა წარადგინონ იმ სტუდენტებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ჯგუფს სოციალური კატეგორიები მოიცავს ენობრივ უმცირესობათა სკოლების, შორეულ რაიონების სკოლების სტუდენტებს, სტუდენტებს კონფლიქტის ზონიდან, მრავალშვილიანი ოჯახებიდან და ობლებს სოციალური დახმარების საჭიროების მქონე სტუდენტებს. სტუდენტებს, რომლებიც იღებენ დამსახურებაზე დაფუძნებულ ნაწილობრივ გრანტებს, ასევე შეუძლიათ მიიღონ საჭიროებაზე დაფუძნებული გრანტები. მაგალითად, თუ სტუდენტი იღებს დამსახურებაზე დაფუძნებულ 70%-იან გრანტს და შეიტანს განაცხადს საჭიროებაზე დაფუძნებულ გრანტზე, მას შეუძლია მიიღოს საჭიროებაზე დაფუძნებული 30%-იანი დაფინანსება.

დაცვის, კვლევისა და შენარჩუნებისთვის; საქართველოს უმცირესობათა ენების დაცვისა და განვითარების, მათი ინტეგრაციისა და ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის მისაღწევად. შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფო ენის სრულფასოვანი დაუფლებისათვის რელევანტური პირობების შექმნას.

მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებული მხარდამჭერი ღონისძიებებისა, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტებს, კვლავაც ექმნებათ დაბრკოლებები უმაღლესი განათლების მიღების პროცესში. უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტებისთვის შემუშავებული კვოტირების სისტემა ემყარება სავალდებულო ზოგადი უნარების ტესტს და ქართულ ენაში მოსამზადებელ ერთწლიან სავალდებულო პროგრამას (60 კრედიტი), რომლის წარმატებით დაძლევის შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. კვოტირების ამგვარი სისტემით აბიტურიენტთა უფრო და უფრო მეტი რაოდენობა ირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგალითად, ეს რაოდენობა 247 სტუდენტიდან (2010 წლის მონაცემი) 1 334-ამდე გაიზარდა (2019 წლის მონაცემი), თუმცა საბაკალავრო პროგრამების დამთავრების დონე დაბალია (საშუალოდ 30%). ეს კი გამოწვეულია არასაკმარისი დაფინანსებით, ენობრივი კომპეტენციისა და აკადემიური მომზადების დაბალი დონით. მიუხედავად ბოლო წლებში სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების მიმართულებით განხორციელებული კომპლექსური და სისტემური ხასიათის ღონისძიებებისა, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფლობის და გამოყენების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ ჩართულობას განათლების ნებისმიერ საფეხურზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღების, დასაქმების, და სხვა სერვისებით სარგებლობას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვა განათლების პროცესში კვლავაც გამოწვევად რჩება ზოგადი განათლების პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობა 2012-2020 წლების განმავლობაში გაიზარდა 500-იდან 11 281-ამდე. პროფესიული განათლება უფრო ხელმისაწვდომი გახდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, თუმცა, ბენეფიციართა საერთო რაოდენობა მაინც მცირეა. კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 1 014 პირი და იძულებით გადაადგილებული 4 979 პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, რაც მთლიანად ჩარიცხულთა რაოდენობის 8%-ს შეადგენს (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 2020). აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა,

მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად სამინისტროსთვის გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის არსებული მხარდამჭერი სერვისების გამრავალფეროვნება და განვითარება. კვლავ ძლიერია სტიგმა და სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რაც ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილი და შეუზღუდავი მონაწილეობისთვის.

სსმ და შშმ პირებისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობასთან მიმართებით საგულისხმოა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის სრულად ადაპტირებული და მისაწვდომი ინკლუზიური საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ნაკლებად მისაწვდომია სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებიც სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ერთმნიშვნელოვნად აღიარებს სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების (მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი) გადაწყვეტ როლს ინკლუზიური განათლების პროცესში და უწყვეტად ზრუნავს მათი კომპეტენციის ზრდაზე, სისტემა განიცდის პროფესიონალების სიმწირეს და მისაწვდომობის პრობლემას განათლების ყველა საფეხურზე.

გამოწვევაა იმ სპეციალისტების (აღმზრდელ-პედაგოგები, მასწავლებლები, ლექტორები) და კვალიფიკაცია და კომპეტენციები, რომლებიც სსმ და შშმ პირებს (ბავშვი, მოსწავლე, სტუდენტი) ასწავლიან. პროფესიულ სტანდარტებსა და დარგობრივ მახასიათებლებში სათანადოდ არ არის ასახული ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც უნდა ფლობდნენ აღნიშნული პირები სსმ და შშმ პირთათვის ხარისხიანი განათლების მისაცემად. ამავდროულად, ზოგადი მიმართულების საუნივერსიტეტო და სატრენინგო პროგრამა არ უზრუნველყოფს სპეციალური მასწავლებლის სპეციალიზაციას მხედველობის, სმენის, ქცევისა და მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მიმართულებით. არ არსებობს საუნივერსიტეტო სასერტიფიკატო კურსები, რომლებიც ამ საჭიროებას დააკომპენსირებდა ან მისცემდა სპეციალურ მასწავლებელს ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას. კადრების დეფიციტით გამოწვეულ პრობლემას ამძაფრებს სპეციალისტების გადინებაც, რაც დიდ წილად ანაზღაურებით არის განპირობებული. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხური, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყველა

აღსაზრდელის და მათ შორის სსსმ და შშმ პირების მხარდაჭერა სასკოლო მზაობის გაზრდის მიზნით.

საყურადღებოა გენდერული თანასწორობის ასპექტის გათვალისწინება განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ზოგადად, გოგოები ბიჭებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში, თუმცა, პროფესიულ და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხვები გენდერული ნიშნით განსხვავებულია სხვადასხვა სფეროში. ქალები ძირითადად ამთავრებენ უმაღლესი განათლების საფეხურს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებასა და ჯანდაცვაში, რაც „ზღუდავს მათ შესაძლებლობებს ჩაერთონ მაღალი შემოსავლის მქონე ეკონომიკურ საქმიანობაში“ (მსოფლიო ბანკი, 2021). 2018 წელს მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) კურსდამთავრებულთა მხოლოდ 16% იყო ქალი. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია მამაკაცთა დაბალი ჩართულობა განათლების მეცნიერებებში. უმაღლესი განათლებისა და კვლევის მიმართულებით, განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის იზრდება რანგის მიხედვით: პირველი რანგის თანამშრომლების მხოლოდ 27% (პროფესორები ან ექვივალენტი) არიან ქალები (საქსტატი). გენდერული მენისტრინგისა და გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან მონაცემების დამუშავება და ანალიზი რეგულარულად არ მიმდინარეობს პროფესიული და უმაღლესი განათლების სტუდენტებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალსა (ან მასწავლებლებსა) და მკვლევრებზე. მაღალი რანგის პოზიციებზე ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია, იმით რომ არ არსებობს ეროვნული პოლიტიკა რომელიც აკადემიურ სფეროში გენდერულ უთანასწორობას აღმოფხვრავს კომპლექსურად იმუშავებდა და მეორე მხრივ ქალის გენდერულ როლთან დაკავშირებული სტერეოტიპებით, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც პროფესიის არჩევაზე, ასევე ქალების კარიერულ ზრდაზე.

საერთაშორისო კადრებისა და დოქტორანტობის კანდიდატების ამჟამინდელ მცირე რაოდენობისა და ინტერნაციონალიზაციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის არარსებობის გათვალისწინებით, უმაღლეს განათლებაში, კვლევასა და ინოვაციების სფეროებში მრავალფეროვნების ნაკლებობაა. ამავდროულად, არ არსებობს ეფექტური მომსახურების სერვისები მზარდი რაოდენობის საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებთაც აგრეთვე არ გააჩნიათ შესაბამის სერვისებსა და მობილობის სქემებთან წვდომა.

ზოგადად, განათლებისა და გადამზადების სისტემას აქვს შეზღუდული რესურსები იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ინდივიდების განსხვავებული საჭიროებები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის თვალსაზრისით. საქართველოს ჯერ არ ჩამოუყალიბებია ერთიანი მიდგომა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მიმართ. მოსახლეობის დაბერება და უნარების შეუსაბამობა განაპირობებს მოთხოვნას უფრო მოსახერხებელ,

გამჭვირვალე საგანმანათლებლო მომსახურებასა და მექანიზმებზე, განათლების საფეხურებს შორის გადასვლის მოქნილ სისტემებსა და გადამზადებისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტურ სქემებზე. წინარე განათლების აღიარება უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ პროფესიული განათლების სექტორზე, არამედ ახალგაზრდა მოსწავლეთა მზარდ რაოდენობაზეც, რომლებიც ამჯობინებენ შეიძინონ უნარები ფორმალური განათლების სისტემის მიღმა. არ არსებობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესახებ ერთიანი სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც გასცდებოდა განათლებისა და ტრენინგის სისტემის საზღვრებს, ერთმანეთთან დააკავშირებდა განათლებასა და სწავლებას, დასაქმებისა და მრეწველობის განვითარებას და სოციალურ და რეგიონულ პოლიტიკას.

2.6 გამოწვევები განათლებისა და მეცნიერების სექტორებში მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და დაფინანსების მიმართულებით

განათლების, მეცნიერების და ინოვაციების სექტორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა კოორდინაციის მექანიზმების ნაკლებობა როგორც ინტერ სექტორულ, ისე სექტორის დონეზე. აღსანიშნავია, რომ სამინისტრო და სექტორის განვითარებაში ჩართული ყველა სხვა სამინისტრო თუ დაინტერესებული მხარე იზიარებს საერთო პასუხისმგებლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროს შემდგომი განვითარებისადმი, თუმცა პოლიტიკის დაგეგმვასა და შესრულებაზე პასუხისმგებლობა ყოველთვის მკაფიოდ არ არის განაწილებული, ასევე არ არსებობს სისტემური მიდგომა კოორდინაციისა და ფუნქციური დაგეგმვისადმი. ყოველივე ეს კი აისახება განათლების, ასევე კვლევისა და ინოვაციის სისტემების განვითარებაზე.

საქართველოში, ანგარიშვალდებულების მექანიზმები განათლების, კვლევისა და ინოვაციის სფეროებში არასათანადოდ განვითარებულია ან ორიენტირებულია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ვიდრე ინსტიტუციების განვითარების მიზნით, სწავლა-სწავლების შედეგების მონიტორინგსა და შეფასებაზე. ადრეულ და სკოლამდელი განათლების სისტემაში სავალდებულო ეროვნული სტანდარტების განხორციელება არ ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლამდელი განათლება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მმართველობას ექვემდებარება, არ არსებობს ანგარიშვალდებულების მექანიზმი, რომლითაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები გაითვალისწინებენ ეროვნულ სტანდარტებს სკოლამდელ დაწესებულებებში. ასევე ცენტრალური ხელისუფლება არ სთავაზობს რეგიონულ მუნიციპალიტეტებს ყოვლისმომცველ და თანმიმდევრულ მხარდაჭერას (ტექნიკური, ადამიანური, ფინანსური) ეროვნული სტანდარტების აღსასრულებლად. სკოლების ავტორიზაციის პროცესი,

რომლის დაწყებაც საჯარო სკოლებისთვის რამდენჯერმე გადაიღო (ამჟამად 2026-2027 წლამდე), შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სკოლების ინკრემენტული განვითარების საშუალება, მაგრამ ამჟამინდელი ფორმით, ავტორიზაცია ორიენტირებულია ძირითადი სტანდარტების შესაბამისობის დადგენაზე და არა სწავლა-სწავლების ხარისხისა და სტუდენტების შედეგების შეფასებაზე (Lee et al., 2019). პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გადამუშავებულია, თუმცა გასაძლიერებელია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე გარე მონიტორინგი და შეფასება. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განახლებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად (ESG 2015). აღსანიშნავია, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფა საკმაოდ კომპლექსური და ძვირადღირებული პროცესია ინსტიტუტებისთვის, ხოლო ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უმეტესწილად ორიენტირებულია ფორმალურ მეთოდებზე, ვიდრე დაწესებულებებში ხარისხის კულტურის განვითარებაზე (ცოტნიაშვილი, 2020).

განათლების, გადამზადების, კვლევისა და ინოვაციების სისტემების პროგრესის მონიტორინგისა და ინსტიტუციური გაუმჯობესებისთვის მონაცემების ადმინისტრირების, ანალიზისა და გამოყენების პრაქტიკა არასათანადოდ განვითარებულია. გარკვეული პერიოდულობით პასუხისმგებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) მიერ განათლებისა და მეცნიერების სისტემისთვის მნიშვნელოვანი მონაცემები გროვდება, ჯერჯერობით არ არსებობს კონკრეტული მექანიზმები, მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს შეუწყობდა სრულყოფილად განხორციელებულიყო ხარისხის, შესაბამისობისა და თანასწორობის მონიტორინგი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში.

ბოლოდროინდელი პროგრესის მიუხედავად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) ვერ უზრუნველყოფს განათლების ყველა საფეხურის მონაცემების შეგროვებას და სინქრონიზებას ანალიზს. ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებას სისტემაში მიმდინარე ტენდენციების გასაანალიზებლად არსებულ მონაცემებზე შეზღუდული წვდომა აქვთ.

საგულისხმოა, რომ ცენტრალური ხელისუფლების არც ერთი რგოლი არაა პასუხისმგებელი ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს ძირითადი ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. ის მონაცემები, რომლებიც ამ სფეროში გროვდება სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს მიერ (მაგალითად, ჩარიცხული მოსწავლეების რაოდენობა და არა ჩარიცხვის მაჩვენებელი, ასევე სფეროში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა), დაწესებულებების რაოდენობა არასაკმარისია ადრეული და სკოლამდელი

განათლების სფეროს პოლიტიკის განსაზღვრისთვის და გამოწვევებისა და ტენდენციების გასაანალიზებლად.

ამჟამად, სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოსახლეობის საერთო მიღწევების, სტუდენტთა მიერ სწავლის დროულად დასრულებისა და შრომის ბაზარზე მათი დასაქმების მონიტორინგს. მწირია მონაცემები განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სწავლის დასრულების შესახებ. სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის პირობებში ვერ ხორციელდება სსმ და შშმ პირების განათლებაში, გადამზადებაში, კვლევასა და ეკონომიკაში მონაწილეობის დინამიკის ანალიზი, ისევე როგორც მოწყვლადობის სხვა მაჩვენებლის იდენტიფიცირება, მონიტორინგი და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ზრდასრულთა განათლების მიმართულებით სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა აფერხებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას და ზრდასრულთა განათლების მიმართულებით შემოთავაზებული შესაძლებლობების სამიზნე ჯგუფებზე მორგებას. საქართველო არ მონაწილეობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომპეტენციების შეფასების საერთაშორისო პროგრამაში (PIAAC) და ჯერ კიდევ არ შემუშავებულა ზრდასრულთა განათლების რეგულარული და ერთიანი მონიტორინგის სისტემა.

განათლების, კვლევისა და ინოვაციების სფეროებში მონაცემთა შეგროვების მიმართულებით ასევე შეინიშნება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ეროვნული გამოკითხვების ნაკლებობა. ამასთანავე, არ არსებობს ღია, მომხმარებელზე მორგებული მონაცემთა ანალიზის მექანიზმი, რომელიც სწავლისა და კარიერული ორიენტაციის არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა მსურველებს. ნაკლებად ხელმისაწვდომია ისეთი ინფორმაცია, როგორცაა ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გარე წყაროებიდან მიღებული შემოსავლები (ბიზნესსექტორთან კონტრაქტები, ქველმოქმედება, მომსახურება და საერთაშორისო სახელმწიფო დაფინანსების წყაროები).

ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტონომიის განსხვავებული დონე აქვთ შეფასების, სასწავლო კურიკულუმის და მენეჯმენტის მიმართულებით, თუმცა პრაქტიკაში ეს ავტონომია იზღუდება, ხოლო ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლების მართვა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობაა, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო დაფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა განსხვავებულია, მუნიციპალიტეტების მომსახურებაშიც მკვეთრი განსხვავებები შეინიშნება. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად მოქმედებს სკოლამდელი განათლების ხარისხზე და აფერხებს მის გაუმჯობესებას. პრაქტიკაში სკოლამდელ დაწესებულებებს აკლიათ ავტონომიურობა და არ აქვთ საკმარისი

უფლებები და პასუხისმგებლობები შესყიდვების განსახორციელებლად, ასევე ადამიანური რესურსების სამართავად.

სკოლის შეზღუდული თვითმმართველობა არაეფექტური მმართველობის ერთ-ერთი შედეგია. საჯარო სკოლების დირექტორები და სამეურვეო საბჭოები პასიურად არიან ჩართულები სკოლის მართვის საკითხებში (OECD, 2020).

კანონი პროფესიული განათლების შესახებ ითვალისწინებს, როგორც კერძო სექტორის, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობის გაზრდას პროფესიულ განათლების სფეროში. საჯარო და კერძო სექტორის მიერ ერთობლივად დაფუძნებული „უნარების სააგენტოს“ ჩამოყალიბება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა პროფესიული განათლების სფეროში მმართველობის ახალი მოდელის დანერგვისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო დარეგისტრირდა 2021 წლის აპრილში და მისი ფუნქციონირება ემყარება საჯარო და კერძო პარტნიორობის პრინციპებს, თუმცა აღნიშნული მართვის მოდელი განვითარების საწყის ეტაპზეა.

უმაღლესი განათლების მართვაში ჩართულები არიან უმაღლესი საგანმანათლებლო საზოგადოების წევრები, რაც ამცირებს მიუკერძოებლობის ხარისხს და წარმოქმნის მხოლოდ შიდა საკითხებზე ფოკუსირებულ ინსტიტუტებს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ დაწესებულებებს ფართო ავტონომიას ანიჭებს, პრაქტიკაში მათ უზღუდავს ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა სწავლის საფასურის განსაზღვრა, საკუთარი სტუდენტების შერჩევა, სწავლის პროგრამების ორგანიზების ფორმისა (ნახევარ-განაკვეთი, ჰიბრიდული) და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრა (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ).

საქართველოს განათლების, გადამზადების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემას არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა ხარისხის, თანასწორობისა და მმართველობის მიმართულებით არსებული გამოწვევების დასაძლევად ისევე როგორც, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, კვლევისა და ინოვაციების მხარდამჭერი ეკოსისტემების გასაძლიერებლად. განათლების, კვლევის და ინოვაციის სისტემა ვითარდება ქვესექტორებს შორის, ხოლო მშობლებთან, შრომის ბაზართან, ინდუსტრიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა შეზღუდულია. მეტი ჩართულობა წახალისებდა კვლევისა და ინოვაციის კლასტერების შექმნას, უნივერსიტეტ-ინდუსტრიის თანამშრომლობის განვითარებასა და უნივერსიტეტების „მესამე მისიის“ ამოქმედებას.

განათლებისა და სწავლების სხვადასხვა საფეხურს შორის კავშირები სუსტია, რაც ხელს უშლის მოსწავლეთა გადასვლას განათლების შემდგომ საფეხურზე და აფერხებს მათ პროგრესს. კვლევისა და ინოვაციის სისტემა ფრაგმენტირებულია, რაც ნაწილობრივ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ნაკლები ჩართულობით და პრიორიტეტიზაციის სისტემის არარსებობით არის განპირობებული. ასევე სუსტი ურთიერთკავშირია განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიასა და ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარების, სოციალური და ჯანდაცვის სტრატეგიებს შორის. შესაბამისი ურთიერთკავშირი კი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხისა და რელევანტურობის მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევისა და შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფას განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის სექტორებში კვლავ არსებობს მმართველობასთან, დაფინანსებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული კონკრეტული გამოწვევები. 3.7 მილიონიანი მოსახლეობისათვის, საქართველოს აქვს დიდი უმაღლესი განათლების სისტემა, რომლის ფარგლებში ფუნქციონირებს მრავალი სახელმწიფო და კერძო დაწესებულება. თუმცა, ბოლო წლებში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარების შემდეგ შემცირდა სასწავლებლების რიცხვი.

კვლევის მიმართულებით კი აღსანიშნავია, რომ მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებში ინტეგრაცია ინსტიტუციურად და ფუნქციურად სრულფასოვნად ვერ განხორციელდა. აღნიშნულს განაპირობებს სწავლებისა და კვლევის პროცესების სუსტი ინტეგრაცია. აგრეთვე დაფინანსების არსებული მოდელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კვლევის ხარისხსა და პროდუქტიულობას, გამოყოფილი თანხები პირდაპირ უნივერსიტეტებისკენ მიემართება და არა კვლევითი ინსტიტუტებისკენ. კვლევისა და ინოვაციის დარგში არსებულ პრობლემებს ემატება სახელმწიფოს მხრიდან ამ სექტორის დაგეგმვაში ნაკლები მონაწილეობა, მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულების არარსებობა, რაც გამოიხატება 80-ზე მეტ პრიორიტეტულ სამეცნიერო სფეროს არსებობით.

მიუხედავად დაფინანსების ზრდისა, საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციები განათლებასა და მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, კვლევაში და ინოვაციებში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით დაბალია. ინვესტიცია განათლებაში მშპ-ს 2.8% -დან 3.6% -მდე გაიზარდა 2010-2019 წლებში, რაც ჩამოუვარდება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (4.6% 2019 წელს). განათლების ბიუჯეტის ყველაზე მაღალი წილი მოდის ზოგად განათლებაზე, სადაც ხარჯების 80% იხარჯება მასწავლებლების ხელფასებზე, თუმცა, PISA-ს მონაწილე ქვეყნებსა და ეკონომიკებს შორის საქართველოს მასწავლებელთა ხელფასი დაბალი ხელფასების კატეგორიას მიეკუთვნება. პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო ხარჯები 2020 წლის განათლების მთლიანი სახელმწიფო ხარჯების

3.6%-ს შეადგენდა (წინასწარი შეფასება). სახელმწიფო ინვესტიციები უმაღლეს განათლებაში 2013-2017 წლებში გაორმაგდა, მაგრამ საქართველო მშპ-ს მხოლოდ 1%-ს ხარჯავს უმაღლეს განათლებაზე, ხოლო რესურსების დაახლოებით 75% გროვდება შინამეურნეობის მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან. ინვესტიცია კვლევასა და განვითარებაზე არის უკიდურესად დაბალი, კერძოდ, მშპ-ს 0.28% და არ აკმაყოფილებს კვლევისა და ინოვაციის მიმართ არსებულ მაღალ მოლოდინებს². წლიური ხარჯები ერთ სტუდენტზე დაბალია განათლებისა და სწავლების მთელ სექტორში: მაგალითად, ადრეული და სკოლამდელი განათლების, რომელიც ქმნის საფუძველს უწყვეტი სწავლისთვის მიმართულებით შემდეგი სურათია: 56 მუნიციპალიტეტის მონაცემები აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების 62.5%, თითოეული ბავშვის საგანმანათლებლო რესურსებზე ყოველწლიურად 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს (ზოგიერთი მათგანი ხარჯავს მხოლოდ 0,73 და 1,11 ლარს) (UNICEF, 2018).

3 ხედვა, მისია, მიზნები და სტრატეგიული ამოცანები

3.1 ხედვა

2032 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაღალი ხარისხის სისტემა ინდივიდებს მისცემს შესაძლებლობას, გააკეთონ საუკეთესო არჩევანი თავიანთი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების განსავითარებლად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი, ცოდნაზე დაფუძნებული და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

3.2 მისია

განათლების და გადამზადების, კვლევისა და ინოვაციების სისტემები საშუალებას აძლევენ პირებს, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენცია წვლილი შეიტანონ საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში და ხელი შეუწყონ ქვეყნის მდგრად განვითარებას.

²ეს პროცენტი ასახავს მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დახარჯულ თანხას და მასში არ შედის სხვა სამინისტროების ხარჯები, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი კვლევითი ერთეულები და შესაძლებლობები. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის სამინისტროები

3.3 2022-2032 წლების სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები და ღირებულებები

მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების, ტექნოლოგიების, კვლევისა და ინოვაციის სისტემების განვითარებისთვის ჩამოაყალიბა შემდეგი ძირითადი პრინციპები და ღირებულებები:

- განათლება და გადამზადება, კვლევა და ინოვაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკლუზიური საზოგადოების, მდგრადი და მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.
- განათლებისა და გადამზადების, ტექნოლოგიების, კვლევისა და ინოვაციის სისტემები ინდივიდზე ორიენტირებულია.
- ღია კომუნიკაციის, გამჭვირვალობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის პრინციპები წახალისებულია განათლებისა და გადამზადების, ასევე კვლევისა და ინოვაციების სისტემებში, აღნიშნული პრინციპები გამოიყენება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისას და ზოგადად საზოგადოებისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის.
- კეთილსინდისიერებისა და უწყვეტი განვითარების პრინციპები, ასევე შესაბამისი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემები განაპირობებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება/განხორციელებას, აღნიშნული პრინციპები ამავედროულად ინდივიდებისა და ინსტიტუტების განვითარების საფუძველია.
- ადამიანური კაპიტალის განვითარება, რომელიც ორიენტირებულია როგორც აღსაზრდელზე, მოსწავლესა და სტუდენტზე, ასევე მასწავლებლებზე, მკვლევრებსა და ზოგადად, განათლების და გადამზადების, ასევე, კვლევისა და ინოვაციის სისტემებში დასაქმებულ ინდივიდებზე.
- ღია სასწავლო გარემო და კვლევისა და ინოვაციის ეკოსისტემები ინდივიდებს საშუალებას აძლევს ისწავლოს, ასწავლოს, გადამზადდეს, განვითარდეს და ამ გზით საერთო მიზნების მიღწევაში შეიტანონ თავიანთი წვლილი.

3.4 სტრატეგიული მიზნები

განათლების, მეცნიერებისა და კვლევისა და ინოვაციების სისტემების სფეროში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების სიტუაციურ ანალიზზე დაყრდნობით მთავრობამ განსაზღვრა სამი სტრატეგიული მიზანი, რომელიც მიმართულია განათლების ხარისხისა და რელევანტურობის, თანასწორობის, ინკლუზიის და მრავალფეროვნების, აგრეთვე მმართველობის, დაფინანსებისა და ანგარიშვალდებულების სისტემების გაუმჯობესებისკენ. სწორედ ამ მიზნებს დაეფუძნება ის რეფორმები და ინიციატივები,

რომლებიც უნდა განხორციელდეს სისტემაში 2022-2032 წლებში. აღნიშნული მიზნები ნაწილობრივ თანხვდება ერთმანეთს, ასევე გამჭოლია [R1] განათლების, კვლევის თუ ინოვაციის ყველა ქვესექტორის დონეზე, თუმცა თითოეული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნული მიზნების მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად გამოიხატება.

3.4.1 სტრატეგიული მიზანი I. ხარისხი და რელევანტურობა

ინდივიდების, ეკონომიკისა და საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილება, ასევე ცხოვრების ყველა ეტაპზე ინდივიდების მისწრაფებებისა და მიღწევების ხელშეწყობა განათლებისა და მეცნიერების სისტემის პირველი სტრატეგიული მიზანია. აღნიშნული მიზანი გულისხმობს შემდეგს: სწავლებისა და სწავლის პროცესი წარმართულია მსწავლელზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით და ამზადებს მას ქვეყანაში და გლობალურად არსებული გამოწვევების საპასუხოდ. მოქნილი, ინდივიდუალური სწავლების მოდელები, მათ შორის სსსმ და შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისი მიდგომები, მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლებისა და სხვადასხვა სიტუაციაში გამჭოლი კომპეტენციების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. უზრუნველყოფილია წვდომა ეფექტიან მასწავლებლებთან და კომპეტენტურ მკვლევარებთან. მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების და კვლევითი რესურსები ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სიტუაციაში, მათ შორის უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსის და შესაბამისი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა შშმ პირებისთვის. ციფრული ინფრასტრუქტურა და სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინოვაციური მეთოდოლოგია შესაძლებელს ხდის ახალი მიდგომების სწრაფად დანერგვასა და სწავლა-სწავლების, კვლევისა და ინოვაციის ხარისხის გაუმჯობესებას. უზრუნველყოფილია უსაფრთხო, პოზიტიური, ხარისხიანი და ღია სასწავლო გარემო. კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისთვის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები განვითარებულია და განათლების ინფორმაციული დონე კიბერსაფრთხეებისა და რისკების შესახებ ამაღლებულია. საგანმანათლებლო საზოგადოება და კვლევისა და ინოვაციების ეკოსისტემები ერთმანეთთან აკავშირებენ საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუტებს, შრომის ბაზარს, ბიზნესსექტორსა და ფართო საზოგადოებას. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე ხელი შეუწყოს წარმატებული მასწავლებლების, ტრენერებისა და განათლების სპეციალისტების ხელმისაწვდომობას და სისტემაში მათ შენარჩუნებას. მომდევნო ათი წლის განმავლობაში განხორციელდება მნიშვნელოვანი

რეფორმები პედაგოგების მომზადების, პროფესიაში შესვლისა და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. აღნიშნული აგრეთვე მოიცავს შესრულებული სამუშაოს შეფასების, კარიერული განვითარების დაგეგმვისა და წახალისების სისტემების განვითარებას. მასწავლებლები ასევე ჩაერთვებიან საჭიროებებზე დაფუძნებულ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში. მასწავლებლის პროფესიული განვითარება იქცევა ყოველდღიურად მიმდინარე პროცესად და არა საჩვენებელ აქტივობათა ერთობლიობად. პედაგოგები მიიღებენ ინტენსიურ, კონსტრუქციულ უკუკავშირს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად გაიზიარებენ სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. ამავდროულად ხელი შეეწყობა სკოლის დირექტორების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მათ შეძლონ იმოქმედონ, როგორც ინსტრუქციულმა ლიდერებმა.

დაინერგება პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები და დაიწყება ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელების მომზადება ბაკალავრიატის დონეზე. სკოლამდელ დაწესებულებათა მოქმედი პერსონალის პროფესიული განვითარება მათი ინდივიდუალური საჭიროებების თანახმად დაეფუძნება პროფესიული განვითარების წინასწარ შემუშავებულ სქემას, რომელიც გაითვალისწინებს კომპეტენციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ზრდის სისტემას. კომპეტენციების შეფასება განხორციელდება რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულ მასწავლებელთა უმრავლესობა არ ფლობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებულ შესაბამის კომპეტენციებს, რადგან ათიდან მხოლოდ ერთ მასწავლებელს აქვს ჩაბარებული პროფესიული უნარებისა და საგნის გამოცდა მინიმალური გამსვლელი ქულით (სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, 2021წ). მთავრობა უზრუნველყოფს მომავალი მასწავლებლის მოსამზადებელი პედაგოგიური მომზადების სისტემის მოდერნიზებას, ასევე კადრების მიზიდვასა და შენარჩუნებას.

აღსანიშნავია, რომ ჩართული და დაინტერესებული მხარეები სრულყოფილად ვერ იზიარებენ მიმდინარე რეფორმების ღირებულებასა და მისწრაფებას, რომლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ისეთი მიდგომების დამკვიდრება, როგორცაა, მაგალითად, განმავითარებელი შეფასება. განხორციელდება ინიციატივები, რომლებიც არა მხოლოდ წახალისებენ მასწავლებელთა მიერ ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებას, არამედ ასევე აამაღლებენ განსახორციელებელ ცვლილებათა მნიშვნელობის შესახებ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების დონეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწყობს პროფესიულ ასოციაციების და ორგანიზაციების აკადემიური თუ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და გადამზადების პროგრამებში, მათ შორის ქოუჩინგის და მონიტორინგის პროგრამებში.

პროექტის „უკეთესი განათლება უკეთესი მომავლისთვის“³ ფარგლებში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული პროფესიული რესურსის მომზადება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მასწავლებლის მომზადების პროგრამების მხარდაჭერა, სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ამასთან, ყურადღება დაეთმობა ინგლისური ენის მასწავლებელთა სწავლების უნარ-ჩვევებისა და მეთოდების გაუმჯობესებას, ზოგად განათლებაში ინგლისური ენის სწავლების სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით. სოფლად, ქალაქისგან მოშორებულ და არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მასწავლებლები მიიღებენ დამატებითი დახმარებას ახალი სკოლის მოდელისა და ინგლისური ენის მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში. მიზნობრივ პროგრამებში ჩაერთვებიან სხვა სკოლებიც, რომლებსაც აქვთ ინგლისური ენის სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაბამისად, ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით დაბალი მიღწევები.

მთავრობა უზრუნველყოფს, რომ პროფესიული განათლების სფეროში მომავალ და მოქმედ მასწავლებლებს ჰქონდეთ წვდომა ხარისხიან და უწყვეტ პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობებზე. შესაბამის საერთაშორისო დაწესებულებებთან ურთიერთანამშრომლობით განხორციელებული მასწავლებელთა გაცვლის პროგრამები და ერთობლივი სასწავლო კურსები განიხილება როგორც დამატებითი სტიმული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მასწავლებელთა შერჩევის პროცესზე, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილი სპეციალისტების ჩართვას პროფესიული განათლების სფეროში. გაიზრდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება.

³პროექტი „უკეთესი განათლება უკეთესი მომავლისთვის“ 4-წლიანი მიმდინარე საერთაშორისო პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს განათლების ხარისხის ზრდას საქართველოში, მოლდოვასა და სომხეთში. პროექტი ინიცირებული და მხარდაჭერილია შვეიცარიის მთავრობის მიერ.

კვლევისა და ინოვაციის სისტემების განვითარებისა და არააქტიური მკვლევართა პრობლემის გადასაჭრელად მთავრობა ორკომპონენტთან მიდგომას გამოიყენებს.

მთავრობა ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამების გაძლიერებას, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან თანხვედრის უზრუნველყოფას. ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე ამოქმედდება მაღალი ხარისხის სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები/სკოლები ნიჭიერი ახალგაზრდების, როგორც საქართველოდან, ისე უცხოური ქვეყნებიდან მოზიდვის მიზნით. შერჩეულ სფეროებში სადოქტორო კანდიდატების მოზიდვის პარალელურად გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი სფეროს დაფინანსების მოცულობაც, რაც ინოვაციის და კვლევის პოტენციალის ზრდის წინაპირობაა.

მთავრობის ახალი მიდგომის მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ტენუარის კონცეფციაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის სისტემის შექმნა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-მკვლევართა საქმიანობის სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. 4 საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-მკვლევართა დასაქმება, შეფასება და წახალისება დაეფუძნება მათი მიღწევების შეფასებას გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.⁵ სწავლება/სწავლისა და კვლევისა და ინოვაციის სფეროში წახალისდება ინოვაციური მიდგომები, ხოლო აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს მთელი კარიერის მანძილზე ექნება პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობა.

გადაიხედება და განახლდება სამართლებრივი და დაფინანსების მექანიზმები, რათა ახალ აკადემიურ პერსონალს მიეცეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა პედაგოგიური ტრენინგების გავლის გზით. ამისათვის კი აკადემიურ პერსონალს გამოუთავისუფლდება დრო სწავლების საათების შემცირების ხარჯზე. წახალისდება დამსახურებაზე დაფუძნებული სისტემები, რომლის ფარგლებში დაფასებულია მაღალი ხარისხის

⁴ტენუარის სისტემა ითვალისწინებს საწყის პოზიციას ახალბედა პროფესიონალებისთვის, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ სამეცნიერო და აკადემიურ კარიერაზე - კვლევით/საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ასევე თანამიმდევრული კარიერული წინსვლის სქემებსა და თანაზომიერი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე.

⁵დაკავებული პოზიციის შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმებში ასახული უნდა იყოს მიღწევები სწავლების, კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით, ასევე უნივერსიტეტის მესამე მისიის პრაქტიკაში დანერგვა, წარმატებები მართვასა და ადმინისტრირებასთან მიმართებით.

სწავლება. პოსტ სადოქტორო და სამეცნიერო-კვლევითი პოზიციების შექმნის მიზნით დაინერგება ემერიტუს პროფესორთა სისტემა, რომელიც დამატებით ასევე მხარდაჭერილი იქნება შესაბამისი საპენსიო სქემებით.

მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა განათლების სხვადასხვა საფეხურზე მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მაღალხარისხიანი, თანამედროვე და მრავალფეროვანი სწავლა/სწავლების რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ციფრული რესურსები. იმის გათვალისწინებით, თუ რა ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია განათლების სფეროს ყველა საფეხურზე, აღნიშნული მიმართულებით საჭიროა გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა.

სკოლამდელი განათლების სფეროში ბავშვზე ორიენტირებული მიდგომებისა და სტანდარტების განხორციელებას აბრკოლებს მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს მოკლებული სასწავლო გარემო (UNICEF, 2018). ზოგადი განათლების სფეროში ჩატარებული შედარებითი კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობაა, კერძოდ, – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალი (PISA, 2018, OECD/UNICEF, 2021), რაც ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 2/3-ზე მეტის კითხვის უნარზე (PIRLS, 2016). ამ პრობლემების გასაჭრელად ზოგადი განათლების მიმართულებით ყურადღება გამახვილდება მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული მაღალი ხარისხის ციფრული რესურსებისა და პლატფორმების განვითარებაზე.

გაუმჯობესდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურა. ბოლო დროს განხორციელებული მასშტაბური სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიუხედავად, გამოწვევები კვლავ რჩება ინფრასტრუქტურასა და ფიზიკურ გარემოსთან მიმართებით განათლების ყველა საფეხურსა და კვლევისა და ინოვაციის სფეროებში. სკოლამდელი განათლების სფეროში ბევრი ბავშვი მოკლებულია განვითარებისთვის აუცილებელ შესაბამის ფიზიკურ გარემოს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში, მთავრობა შეარჩევს იმ სკოლებს, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ფიზიკურ გარემოსა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, საგანმანათლებლო საზოგადოებასთან და თემებთან თანამშრომლობის გზით იპოვის განათლების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიან გზებს. არსებული საჭიროებების გათვალისწინებით საკითხების

გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების გაერთიანება ერთ სივრცეში.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის სფეროში, 2030 წლისთვის მთავრობა სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის წლიურ დაფინანსებას გაზრდის, რაც გადაჭრის ისეთ პრობლემებს, როგორცაა: მოძველებული და არაადაპტირებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ძვირადღირებული აპარატურის ნაკლებობა და სამეცნიერო-კვლევითი რესურსების ფრაგმენტაცია და მათი არათანაბარი გადანაწილება.

მთავრობა ასევე შეუწყობს ხელს სოციალური და ემოციური გარემოს გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოს განათლების ყველა დონეზე მსწავლებელთა ჰოლისტური განვითარება. კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის ნეგატიური ზემოქმედების გათვალისწინებით საჭიროა გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა სასკოლო კლიმატისა და უსაფრთხო გარემოს გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის ამსახველი მონაცემები არ არსებობს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, ხოლო ზოგადი განათლების დონეზე, ცნობილია, რომ პანდემიის პერიოდამდე სკოლებში მოსწავლეების მეოთხედი ბულინგის მსხვერპლი იყო, სასკოლო გარემოსთან ინტეგრირებულად კი თავს მხოლოდ მოსწავლეთა ნახევარი (56%) გრძნობდა (OECD, 2019). მთავრობა უზრუნველყოფს უსაფრთხო და ინკლუზიური ფიზიკური და ციფრული სასწავლო გარემოს შექმნას და უფრო ხელმისაწვდომს გახდის სამედიცინო, ფსიქო-სოციალური და ემოციური მხარდაჭერის სერვისებს ბავშვებისთვის, მათ შორის ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისთვის. საჯარო სკოლებში დაინერგება სასკოლო მედიაციის პროგრამა. სკოლები მიიღებენ დამატებით მხარდაჭერას კონფლიქტების პრევენციასა და მართვაში.

საგნის მასწავლებლები გადამზადდებიან სსსმ და შშმ მოსწავლეებთან ეფექტიანად მუშაობისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარების და მოსწავლეების საჭიროებების იდენტიფიცირების და რეაგირების მექანიზმების გამოყენების მიმართულებით. დაიხვეწება ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეების, ძალადობის მსხვერპლთა ან ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა გადამისამართების და რეაბილიტაციის არსებული მექანიზმები.

განათლების ყველა საფეხურზე განვითარდება მონიტორინგის და შეფასების პრაქტიკა. მთავრობა წახალისებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ჩამოაყალიბონ ხარისხის მართვის საერთო კულტურა, რომელიც სტიმულს მისცემს საგანმანათლებლო საზოგადოებას, შეასრულოს აქტიური როლი მოსწავლეთა ფიზიკური და მენტალური

ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. ზოგად განათლებაში მოსწავლეთა ჰოლისტური (ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური) განვითარების მხარდაჭერისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდება ცენტრალიზებული შეფასების სისტემა. ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის/ქვესაფეხურის დასრულების შემდეგ ეროვნულ დონეზე ყოველწლიურად განხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დიაგნოსტიკური შეფასება, ხოლო სკოლებში დაინერგება სასკოლო კულტურის კვლევის პრაქტიკა. შეფასების მოცემული მექანიზმები დაეხმარება სკოლებს საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო ხედვის შემუშავებაში. სისტემურ დონეზე, შესაძლებელი გახდება მოსწავლეების სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციებთან მიმართ წინსვლის შეფასება და ასევე მიზნობრივი ინტერვენციებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

ეროვნულ დონეზე დაინერგება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი გამოცდილებისა და კეთილდღეობის მონიტორინგის მიზნით. აღნიშნულთან მიმართებით მომდევნო ათი წლის განმავლობაში პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სფეროებში შეიქმნება და დაინერგება კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვის ეროვნული სისტემა, რაც ხელს შეუწყობს კომპლექსური და ზუსტი მონაცემების შეგროვებას. გააუმჯობესებს პროფესიული/უმაღლესი განათლების სისტემის გამჭვირვალობას და სწავლა-სწავლების ხარისხს. ამ გზით ასევე დამყარდება ურთიერთკავშირი საგანმანათლებლო, სოციალური უსაფრთხოებისა და საგადასახადო მონაცემთა ბაზებს შორის. აღნიშნული ინიციატივის განხორციელება გადაუდებელი ღონისძიებაა, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი მონაცემები კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ მიერ შეძენილი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ფლობის გასაზომად, შესაბამისად, სტუდენტები არაინფორმირებულ არჩევანს აკეთებენ სწავლის სფეროებსა და კარიერასთან დაკავშირებით.

სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად და საზოგადოებასა და ეკონომიკაში განათლების, ტექნოლოგიების, კვლევისა და ინოვაციის როლის გასაძლიერებლად მთავრობა გააფართოებს თანამშრომლობას საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის მშობლებს, დამსაქმებლებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროში მთავრობა ხელს შეუწყობს მშობლების ჩართულობის პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვას ბავშვების და მოსწავლეების ყოველმხრივი განვითარებისა და საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების მიზნით.

პროფესიულ განათლებაში გაიზრდება კერძო სექტორის მონაწილეობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და დუალური განათლების მიმართულებით. მთავრობა გაატარებს შესაბამის ზომებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში „მესამე მისიის“ სტრუქტურირებულად განხორციელების მხარდასაჭერად, რაც გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი რეგიონის უნივერსიტეტების, როლის ზრდას საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, განსხვავებული რეგიონების საჭიროებათა დაკმაყოფილებასა და შესაძლებლობათა რეალიზებაში.

მთავრობა ხელს შეუწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორც არის: წიგნიერება, მულტილინგვიზმი, რაოდენობრივი წიგნიერება, სამეცნიერო და საინჟინრო უნარები, ციფრული და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპეტენციები, ინტერპერსონალური უნარები და აქტიური მოქალაქეობა, მეწარმეობა, ინტერკულტურული მგრძობელობა და გამოხატვა (European Commission, 2018).

მთავრობა წახალისებს შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში ინოვაციების შეტანას ემპირიული და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გზით. ასევე, უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის მობილობის სქემების განვითარების მეშვეობით.

განვითარდება სწავლა-სწავლების ინოვაციური მიდგომები სწავლების ფორმის მიუხედავად (ფიზიკური დასწრება, ციფრული ფორმატი თუ ჰიბრიდული რეჟიმი), ტექნოლოგიებისა და ციფრული რესურსების გამოყენებით. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში შესაძლებელი გახდება ისეთი პორტალების ამოქმედება, რომელიც მაღალხარისხიან სასწავლო რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს, თუ სხვა საჭირო მასალებს მისაწვდომს გახდის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის.

მთავრობა ასევე გააძლიერებს თანამშრომლობას საგანმანათლებლო სერვისების პროვაიდერებთან (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლება და ზრდასრულთა განათლების სფეროები), რათა გაუმჯობესდეს განათლების, კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების სერვისების მოთხოვნისა და მიწოდების პროცესი. ყოველივე ამის განხორციელება კი შესაძლებელია ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების მეშვეობით, საერთო სერვისების შექმნისა და შენობა-ნაგებობის გაზიარებული სარგებლობით.

მთავრობა არა მხოლოდ შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებას დაუჭერს მხარს, არამედ ახალი ეკონომიკური სექტორების გაჩენის კვალდაკვალ ასევე წახალისებს მეწარმეობის სწავლების გაძლიერებას განათლების, მეცნიერებისა და კვლევისა და ინოვაციების სისტემაში. კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში ახალგაზრდები დაინტერესებული არიან მეწარმეობით, მაგრამ მცირე ნაწილი ახერხებს საკუთარი ინტერესების პრაქტიკაში რეალიზებას შესაბამისი რესურსებისა ტრენინგისა და მხარდაჭერის ღონისძიებების ნაკლებობის გამო. დონორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მთავრობა ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა შემოქმედებითი და მეწარმეობის უნარების განვითარებას სკოლამდელი განათლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურის ჩათვლით. ეს კომპონენტი ასევე გაძლიერდება ზრდასრულთა განათლების პროგრამებშიც. გაძლიერდება კლასგარეშე კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და სპორტული აქტივობები და წახალისდება მათში გოგოების მონაწილეობა. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მიიღებს მხარდაჭერას სამეწარმეო და კომერციული საქმიანობის განხორციელებისთვის, ასევე დაცული იქნება ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით მაღალკვალიფიციური და გლობალურად კონკურენტუნარიანი სპეციალისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა.

მთავრობის ძალისხმევით ხელი შეეწყობა განათლების ყველა საფეხურის, ასევე სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების ინტერნაციონალიზაციას.

მაშინ როცა პროგრამის „ერაზმუს+“ განხორციელების შედეგად მიღწეულ იქნა პოზიტიური შედეგები უმაღლესი განათლების მიმართულებით, ახალი სტრატეგიის მოქმედების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა „ერაზმუს+“-ის პროფესიული განათლების მიმართულებით დახელოვნების ცენტრებისა და უცხო ენების შემსწავლელი ცენტრების შექმნას, სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცვლით პროგრამებს.

მთავრობა წახალისებს თანამშრომლობას საქართველოსა და საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებს შორის ერთობლივი, დუალური და ორმაგი კვალიფიკაციის მისანიჭებელი პროგრამების განხორციელების მიზნით, რაც თავის მხრივ აღმოფხვრის სტუდენტებისა და პერსონალის ფიზიკურ გადაადგილებასთან არსებულ ბარიერებს. იმისათვის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სტუდენტმა და პერსონალმა ისარგებლოს ინტერნაციონალიზაციით და უზრუნველყოფილი იყოს უცხოელი სტუდენტებისა და მკვლევარების ჩართვა აკადემიურ საზოგადოებაში, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით სისტემაში

დაინერგება „ინტერნაციონალიზაცია შინ“⁶ მიდგომა. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს სისტემაში საერთაშორისო თვალსაწიერის მქონე ადგილობრივი და უცხოელი პერსონალის ჩართვასა და დასაქმებას; ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებსა და პერსონალს შორის კონტაქტების დამყარებას, სწავლისა და კვლევის საერთო შესაძლებლობებისა და რესურსების შექმნასა და გაზიარებას; საერთაშორისო ციფრული სასწავლო მასალების გამოყენებას; სტუდენტისა და პერსონალისთვის ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას⁷. მთავრობა დაეხმარება უნივერსიტეტებს, განსაკუთრებით კი ახლად დაარსებულ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებაში.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ 2021 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გაგრძელდება მუშაობა უმაღლესი განათლების, კვლევისა და ინოვაციის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისთვის ევროკავშირის პოლიტიკური ჩარჩოს, ინიციატივებისა და პროგრამებით შემოთავაზებულ განსხვავებულ შესაძლებლობებზე დაყრდნობით.

მთავრობა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები პროაქტიულდ შეუწყობენ ხელს აკადემიურ და სამეცნიერო კეთილსინდისიერებას, რადგან აკადემიური პატიოსნება, გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება წარმოადგენს განათლებისა და კვლევის სფეროებში მაღალი ხარისხის შენარჩუნების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. აკადემიური და სამეცნიერო კეთილსინდისიერება სწავლა/სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება როგორც განათლების ყველა საფეხურზე, ისე სამეცნიერო-კვლევით სფეროში. პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევების სხვადასხვა რისკის შესახებ კი განხორციელდება შესაბამისი ცნობიერების ამაღლებისკენ

⁶გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო მობილობა სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი, ევროკავშირის ქვეყნები ავითარებენ მიდგომას „ინტერნაციონალიზაცია შინ“, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ინტერნაციონალიზაციით ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა სტუდენტმა და პერსონალმა.

⁷ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო და/ან კულტურათაშორისი კომპეტენციების გაუმჯობესების ეროვნული პოლიტიკა მოიცავს შემდეგს: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის ნიშნის გაცემას საერთაშორისო და კულტურათაშორის ურთიერთობათა კომპეტენციებისთვის; ეროვნული სქემები, რომლებიც ხელს უწყობს უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე ენების შესწავლას; ინსტიტუციური ინსტრუმენტები მობილობის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგ კომპეტენციების შესაფასებლად; სტუდენტური ორგანიზაციებისთვის აქტიური როლის შესრულების შესაძლებლობის მიცემა; ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების უფრო მრავალფეროვანი ჯგუფის უზრუნველყოფა როგორც აუდიტორიაში, ისე მის გარეთ: რექტორთა კონფერენციების მობილიზება, რათა მათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააცნონ მიდგომა „ინტერნაციონალიზაცია შინ“; კურსები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალისთვის, რათა მათ უზრუნველყონ ღიაობა ჩარიცხული სტუდენტებისთვის.

მიმართული ღონისძიებები როგორც საგანმანათლებლო საზოგადოების, ისე დაინტერესებული მხარეებისთვის. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებასთან თანამშრომლობით მთავრობა შეიმუშავებს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკას, რომლის თანამიმდევრული განხორციელება განათლების ადრეული საფეხურიდან დაიწყება და გაგრძელდება განათლების ყველა შემდგომ საფეხურზე, თითოეული საფეხურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული პოლიტიკის შეიმუშავებისა და განხორციელების პროცესში იგეგმება თანამშრომლობის დამყარება სკოლებს, მშობლებს, დამსაქმებლებს, პროფესიულ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-კვლევით და ფართო საზოგადოებასთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გახდება უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ფართო საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის საკითხებს, მათ შორის შესაძლო დარღვევების (როგორცაა ციფრული თაღლითობის რისკი) რისკების პრევენციას, ასევე აკადემიური თაღლითობის ფაქტების გამოაშკარავებასა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინსტიტუციური პოლიტიკის ეფექტურად გასატარებელ საჭირო ღონისძიებებს. მთავრობა ხელს შეუწყობს აკადემიური და სამეცნიერო კეთილსინდისიერების შესახებ მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მონიტორინგის მიმართულებით ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელებას.

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა და დონორებთან კონსულტაციების საფუძველზე ხარისხსა და რელევანტურობასთან მიმართებით მთავრობამ შეიმუშავა კონკრეტული სტრატეგიული მიზნები, რომლებიც მოიცავს განათლების ყველა საფეხურს, ასევე მეცნიერებას, კვლევისა და ინოვაციების სისტემებს.

ლოგიკურ ჩარჩოში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების სრული ჩამონათვალი ხარისხსა და რელევანტურობასთან მიმართებით (დანართი 1).

პირველი სტრატეგიული მიზნის ქვეშ გათვალისწინებულია შემდეგი კონკრეტული მიზნები და ამოცანები:

მიზანი 1.1 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ყველა დაწესებულება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, მხარდაჭერაზე და განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს ყველა ბავშვისთვის

- ამოცანა 1.1.1 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული კვალიფიკაციის მინიმუმ საბაკალავრო საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარება, მათი საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება.
- ამოცანა 1.1.2 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამების ეროვნული სტანდარტებისა და შეფასების ჩარჩოს დანერგა ყველა დაწესებულებაში და დაწესებულებების აღჭურვა სასწავლო მასალებითა და რესურსებით, რომლებიც საჭიროა ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის.
- ამოცანა 1.1.3 ბავშვის მშობლების/წარმომადგენლების და საზოგადოების ჩართვა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობაში და ბავშვზე ზრუნვისა და განვითარების საკითხებზე მათი ცნობიერების გაზრდა.

მიზანი 1.2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თითოეული მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი, მაღალ მისაღწევ შედეგებზე დაფუძნებული, რელევანტური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, რომელიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს აკადემიური, პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენციები.

- ამოცანა 1.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა მასწავლებელთა მომზადების პროგრამების მოდერნიზების, კონკურენტუნარიანი კადრების მოზიდვისა და -შენარჩუნების, საჭიროებებზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარებითა და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული შეფასების სისტემების საშუალებით.
- ამოცანა 1.2.2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითოეულ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია სწავლა-სწავლების თანამედროვე და მრავალფეროვანი რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრულ რესურსები და აშ).
- ამოცანა 1.2.3 სკოლის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლება სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისთვის საჭირო უფლებამოსილების განსახორციელებლად.
- ამოცანა 1.2.4 მშობლების სისტემატურ ჩართულობის ამაღლება და მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მათი შვილების განათლებაში.

- ამოცანა 1.2.5 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითოეული მოსწავლისათვის ხელსაყრელი სოციალური, სასწავლო, ემოციური და ფიზიკური სასწავლო გარემოს შექმნა, რათა შეძლონ საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად განვითარება.

მიზანი 1.3 პროფესიული განათლების სერვისები მორგებულია სტუდენტთა/მსმენელთა მოლოდინებსა და საჭიროებებზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.

- ამოცანა 1.3.1 ახალი პროფესიული კვალიფიკაციები და პროგრამები შეესაბამება შრომის ბაზრის ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებს.
- ამოცანა 1.3.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.
- ამოცანა 1.3.3 პროფესიული განათლების სტუდენტები/მსმენელები აღჭურვილნი არიან უწყვეტი დასაქმებისათვის საჭირო უნარებითა და კომპეტენციებით.

მიზანი 1.4 თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ყველა სტუდენტს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.

- ამოცანა 1.4.1 უმაღლესი სასწავლებლების თითოეული სტუდენტის მომზადება საზოგადოებრივი ცვლილებებისა და შრომითი ბაზრისთვის; მათი აღჭურვა უწყვეტი დასაქმების უნარებით, მრავალმხრივი და დარგობრივი სპეციფიკური კომპეტენციებით, მათ შორის, აქტიური მოქალაქეობისთვისათვის საჭირო უნარებით.
- ამოცანა 1.4.2 თითოეული სტუდენტისთვის საერთაშორისო სასწავლო გამოცდილების, გაცვლითი პროგრამებისა და ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- ამოცანა 1.4.3 უმაღლესი განათლების პროფესორ-მასწავლებლებისათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება, მათ შორის ინოვაციური პედაგოგიკის მიდგომების დანერგვის კუთხით, ასევე სწავლა/სწავლებაში მიღწევების წახალისება და აღიარება.
- ამოცანა 1.4.4 ბიზნესთან, კერძო სექტორთან და ფართო საზოგადოებასთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის გაძლიერება (უნივერსიტეტების მესამე მისია).
- ამოცანა 1.4.5 ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე დაფუძნებული სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამებში/სკოლებში ახალგაზრდა

მეცნიერებისა და მკვლევარების ჩართულობის ზრდა როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

მიზანი 1.5 მაღალი ხარისხის კვლევა, ტექნოლოგიები და ინოვაცია ხელს უწყობს საზოგადოებისა და ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნებულ განვითარებას.

- ამოცანა 1.5.1 ყველა მკვლევარის შერჩევა, დასაქმება და შრომის ანაზღაურება კვლევაში და ინოვაციებში მიღწევების შეფასების საფუძველზე, გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებული კრიტერიუმებით და თითოეულ მათგანს შეუძლია, განავითაროს კვლევითი უნარ-ჩვევები მთელი კარიერის განმავლობაში.
- ამოცანა 1.5.2 საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა.

მიზანი 1.6 აკადემიური კეთილსინდისიერება იზრდება განათლების ადრეული საფეხურიდან და შემდგომში ვითარდება განათლების, კვლევისა და ინოვაციის ყველა ეტაპზე.

- ამოცანა 1.6.1 აკადემიური კეთილსინდისიერების საფუძვლები ისწავლება განათლების ადრეული საფეხურიდან.
- ამოცანა 1.6.2 აკადემიური და კვლევითი კეთილსინდისიერება პროგრესულად ინტეგრირებულია ყველა სასწავლო პროგრამაში, სადოქტორო სწავლებაში და კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის პროექტებში.

3.4.2 სტრატეგიული მიზანი II. თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება

განათლების კვლევისა და ინოვაციების სისტემის მეორე სტრატეგიული მიზანია, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობა და ხელი შეუწყოს მსწავლელზე ორიენტირებული განათლებისა და გადამზადების სისტემის განვითარებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველას, მათ შორის განათლების მიღების თვალსაზრისით არახელსაყრელ პირობებში მყოფ , სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირებს, სრულად შეძლონ თავიანთი პოტენციის განვითარება ამდენად თითოეულ პირს, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ეთნიკური წარმოშობისა/ენისა, სპეციალური საჭიროებებისა და შესაძლებლობის შეზღუდვისა და აქვს წვდომა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. თანასწორობისა და ინკლუზიის შესახებ ერთიანი და

ყოველსმომცველი პოლიტიკის შემუშავება თანამიმდევრულს გახდის ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ მიდგომებს განათლების ყველა საფეხურზე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამების ჩათვლით. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთანამშრომლობით მხარდაჭერილი იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული, შესაბამის სამიზნე ჯგუფზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება. საგანმანათლებლო დაწესებულებები შეძლებენ საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული უთანასწორობის კომპენსირებას.

ინკლუზიის უზრუნველყოფა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის ვალდებულება გახდება. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოლიტიკის ნაწილი გახდება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში მთავრობა გააძლიერებს მიზანმიმართულ მხარდაჭერას არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, რამდენადაც მიზნობრივი მხარდაჭერის ნაკლებობა ხელს უშლის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს და მათთვის ხარისხიანი განათლების ყველა საფეხურზე წვდომის შესაძლებლობების გაზრდას. შეუფერხებლად გაგრძელდეს ე.წ. გამყოფი ხაზისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების დაფინანსება.

როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი არიან უზრუნველყონ დიფერენცირებული სწავლება და მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის, თუმცა პრობლემა არსებული პოლიტიკის პრაქტიკაში თანამიმდევრული განხორციელებაა (სახალხო დამცველის ოფისი, 2019). შესაბამისად, მთავრობა უზრუნველყოფს თანამიმდევრული პოლიტიკის შემუშავებას და გამოავლენს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პირების სხვადასხვაგვარი საჭიროებებს და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს.

სკოლამდელი განათლების სფეროში მთავრობა უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებდეს ადეკვატურ მხარდაჭერას არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის. ეს გულისხმობს, რომ ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებული იქნება უზრუნველყოს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის შესაბამის სერვისებზე

ხელმისაწვდომობა. ამავე დროს ამოქმედდება მიზნობრივი პოლიტიკა მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბილინგვური სწავლების განხორციელების გზით ენის სწავლების მხარდამჭერი ეფექტიანი პროგრამები ხელმისაწვდომი გახდება იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული. სისტემაში ასევე ამოქმედდება განათლების მეორე შესაძლებლობის პროგრამა მოსწავლეებისთვის, რომლებიც ჩამოშორდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ან არიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ. სასკოლო სასწავლო გეგმებში მეტი ყურადღება დაეთმობა სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების განვითარებას კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათ შორის გათვალისწინებული იქნება სსმ და შშმ მოსწავლეების მხარდამჭერი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები.

მთავრობა ასევე გადადგამს ნაბიჯებს იმისათვის, რომ უფრო მეტმა სკოლამ შესთავაზოს გახანგრძლივებული სწავლება იმ პირებს, ვისაც ამის საჭიროება აქვთ, ვინაიდან ამჟამად მოსწავლეების მხოლოდ 35% დადის ისეთ სკოლებში, რომლებიც ამგვარ სწავლებას უზრუნველყოფენ (OECD, 2020).

პროფესიული განათლების სფეროში, მთავრობა მზადაა შეამციროს ყველა დაბრკოლება, იქნება ეს პირადი, ინსტიტუციონალური თუ პროგრამასთან დაკავშირებული, რომელიც სტუდენტს შეიძლება შეექმნას აღნიშნულ სისტემაში მოხვედრისას, სწავლის განმავლობაში თუ სწავლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესში. თანაბარი ხელმისაწვდომის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების წარმომადგენლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინდივიდებისა და რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდა პირების ჩართვას პროფესიულ განათლებაში. გადაიხედება ამჟამად არსებული ერთიანი პროფესიული ტესტირების მიდგომა პროფესიული განათლების სპეციფიკასთან შემდგომი ადაპტირების მიზნით. უფრო მეტიც, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება პროფესიული განათლების დივერსიფიცირებასა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მასშტაბის გაფართოებას. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდება სწავლა/სწავლების პროცესში მოქნილი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური მეთოდების გამოყენებაზე, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის პროფესიულ განათლებას.

უმალესი განათლების საფეხურზე მთავრობა წაახალისებს და მონიტორინგს გაუწევს სხვადასხვა ქვოტის ფარგლებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ზრდისკენ მიმართულ საქმიანობას. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტებს 1+4 მოსამზადებელი

პროგრამის დასრულების შემდეგ შეუძლიათ სწავლა საბაკალავრო საფეხურზე განაგრძონ, თუმცა ამ შესაძლებლობების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანია როგორც მისაღები პროცედურების განახლება, ასევე კვოტით განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობის ზრდა. ამასთანავე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან იზრუნონ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე ვინაიდან ამჟამად კურსდამთავრებულთა მხოლოდ მესამედი ამთავრებს პროგრამას.

უმაღლესი განათლების დაფინანსების რეფორმის ფარგლებში, მთავრობა ასევე იმუშავებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ზრდაზე, საჭიროებებზე დაფუძნებული მიზნობრივი ფინანსური დახმარების წილობრივი ზრდის საშუალებით.

აღნიშნული მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით რომ დღეისათვის, არასათანადოდ წარმოდგენილ ჯგუფებსა და მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ სტუდენტების მხარდაჭერას სტუდენტებისთვის გამოყოფილი მთლიანი დაფინანსებიდან დაახლოებით 20% ხმარდება.

ზრდასრულთა განათლების ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით მთავრობა წახალისებს ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამებში არასრული ან/და სრული ზოგადი განათლების მქონე, ასაკოვანი, სოციალურად დაუცველი, დაუსაქმებელი და სამუშაოს ძალის მიღმა მყოფი პირების ჩართვას. დასახელებული ჯგუფებისთვის სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შემცირდება მომზადება-გადამზადებისა და სწავლის სხვა სერვისების ღირებულება. ყველა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებში ზრდასრულთა მონაწილეობის მოტივაციის შესწავლის მიზნით შემუშავდება სისტემატური მონიტორინგის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და გაზრდის მოთხოვნას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობაზე. მონაწილეობასთან დაკავშირებული მონაცემების რეგულარული შეგროვებისას დასწრების მაჩვენებლების გარდა შეგროვდება და გაანალიზდება მონაცემები მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლების ასაკის, სქესის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და პირადი მოტივაციის შესახებ.

განათლების სისტემაში თანასწორობისა და ინკლუზიის ხელშესაწყობად მთავრობა ინვესტიციებს განახორციელებს მასწავლებელთა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალიზებული და არასპეციალიზებული პერსონალის კომპეტენციების განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღმზრდელ-პედაგოგებისა და სპეციალური მასწავლებლების სხვა დამხმარე სპეციალისტების((მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი,

ფსიქოლოგი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი) საკმარისი რაოდენობით, რომლებიც შეძლებენ სპეციალური საჭიროებების მქონე და ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენელ ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგების არათანაბარ გადანაწილებასთან ერთად, მცირეა სათანადო უნარების მასწავლებელთა რაოდენობაც, რომლებსაც შეუძლიათ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების კომპენსირება: 2020 წელს არაქართული სკოლების მასწავლებელთა 63%-მა ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა, რაც აუცილებელს ხდის არსებული ენობრივი ბარიერების აღმოფხვრას, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობათა გაუმჯობესებას.

ასევე გაიზრდება სპეციალური მასწავლებლების რაოდენობა, რადგან სპეციალური მასწავლებლის სტატუსი არც ისე დიდი ხანია არსებობს და შესაბამისად, მათი რაოდენობაც ვერ აკმაყოფილებს სისტემის საჭიროებებს. გარდა ამისა, ყურადღება დაეთმობა აღმზრდელების, მასწავლებლების (საგნის სპეციალისტები) და დამხმარე სპეციალისტების კომპეტენციების განვითარებას, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვის, დიფერენცირებული სწავლების, შშმ პირებთან მუშაობისა და თანასწორობის საკითხების სწავლების მიმართულებით. მთავრობა აგრეთვე წახალისებს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ მათ მხარი დაუჭირონ სწავლა-სწავლებისა და კვლევისათვის ინკლუზიური და მრავალფეროვანი გარემოს შექმნას.

მთავრობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება სახელმწიფო ენის სწავლების და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა არადომინანტი ეთნიკური ჯგუფებისთვის და მათი სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის (ერთიანი პროგრამა) განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქართული ენის დაცვა და გაძლიერება მთელი ქვეყნის მასშტაბით, აფხაზეთში აფხაზურ ენასთან ერთად. ეს პროგრამა აგრეთვე მოიცავს საქართველოს არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების ენების დაცვას და განვითარებას და სახელმწიფოში მათი სრული ინტეგრაციისთვის მხარდაჭერი პირობების შექმნას.

მთავრობა განახორციელებს ინვესტიციას ინფრასტრუქტურაში, სასწავლო გარემოსა და სასწავლო მასალებში ყველა მოსწავლის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი მოსწავლეების, მხარდაჭერისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. თანამშრომლობაზე, ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს

ჩამოყალიბების მიზნით განათლების ყველა საფეხურისთვის შემუშავდება მაღალი ხარისხის, სტერეოტიპებისგან თავისუფალი და მისაწვდომი სასწავლო რესურსები, აგრეთვე განვითარდება არაფორმალურ განათლების შესაძლებლობები.

გაუმჯობესდება სკოლამდელი განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკურ-მატერიალური ბაზა, რადგან დაწესებულებათა 67% არ არის სრულიად ადაპტირებული სპეციალურ საჭიროებათა მქონე ბავშვების აღზრდისა და სწავლებისთვის და ამასთანავე მათ უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი პედაგოგიური რესურსები. (CivitasGeorgika, 2020). რესურსების მობილიზება აუცილებელია შესაძლებლობის შეზღუდვის და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე, ასევე არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვებისთვის სათანადო სასწავლო მასალების შესყიდვისა და განვითარებისთვის. გარდა ამისა, არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ორენოვანი სწავლების შესაძლებლობები და განახლებული რესურსები აღმოფხვრის ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე შეზღუდული მეთოდოლოგიური რესურსების პრობლემას.

მთავრობა ზოგადი განათლების ფარგლებში იზრუნებს ინფრასტრუქტურული და რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრაზე, ვინაიდან სკოლებში რესურსები უფრო არათანაბრად ნაწილდება საორიენტაციო (benchmark) სახელმწიფოებთან შედარებით (OECD/გაეროს ბავშვთა ფონდი, 2021). განსაკუთრებით დაბალია ინფრასტრუქტურასა და ხარისხიან სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა სოფლის სკოლებში, ასევე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ოჯახების ბავშვებისთვის (OECD, 2019), 2019 წელს კი სკოლების მხოლოდ ერთი მესამედი (34%) იყო ნაწილობრივ ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის (სახალხო დამცველის აპარატი, 2019).

უმადლესი განათლების სფეროში უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის ინკლუზიური და სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემოსა და რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობების შესაქმნელად (სახალხო დამცველის აპარატი, 2019).

მთავრობა ძალისხმევას მიმართავს, რომ აღმოფხვრას განათლების, გადამზადების, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციების სფეროში გენდერული მიკერძოებები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში გენდერული უთანასწორობის გაღრმავებას. თაობათა თანასწორობის სამოქმედო კოალიციის ვალდებულებების შესაბამისად, მთავრობა წახალისებს ინკლუზიურ სამეცნიერო განათლებას გენდერული, სოციალურ-ეკონომიკური, რეგიონული და სხვა უთანასწორობის შესამცირებლად.

ძალისხმევის ნაწილი მიმართული იქნება პედაგოგიკაზე და პროგრამებზე, რომლებიც ხელს უწყობს მეცნიერული აზროვნებას და კვლევის მიდგომების ინტეგრირებას ხელოვნებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და სხვა სფეროებში STEM-თან დაკავშირებული პროფესიული შესაძლებლობებისა და სტარტაპებისადმი ინტერესის გასაზრდელად, განსაკუთრებით კი გოგოებსა და ქალებში, რომელთა პოტენციალიც ჯერ კიდევ აუთვისებელია ამ მართულეებით.

ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის(STEM) კურსდამთავრებულთა და მეცნიერ-მკვლევარებს შორის: მათ მიერ მოპოვებულ აკადემიურ ხარისხებს შორის ჭარბობს შედარებით დაბალ შემოსავლიანი მიმართულებები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებასა და ჯანდაცვაში (მსოფლიო ბანკი 2021), რაც აბრკოლებს მათი პოტენციალისა და უნარების სრულად განვითარებას.

მკვლევარებს შორის თანაბარი გენდერული განაწილების მიუხედავად (52.4% ქალი), მნიშვნელოვანი დისბალანსი ჯერ კიდევ შესამჩნევია სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, განსაკუთრებით დაბალია ქალების პროცენტული წილი ინჟინერიასა და ტექნოლოგიების მიმართულებით (საქსტატი, 2019).

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავდება სამეცნიერო კვლევის, ინოვაციისა და სხვა სექტორებში სამუშაო ძალის პოტენციალის გაძლიერების, გენდერული პრობლემატიკის არსებულ და ახალ პოლიტიკაში ასახვისა და განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის სფეროში გენდერული სტატისტიკის, ანალიზისა და მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით. მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს სამეცნიერო-აკადემიურ სფეროში გენდერულ ჭრილში ადამიანური რესურსების პოლიტიკის მონიტორინგსა და ანალიზს. შემდეგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება არსებულ პოლიტიკასა და პროგრამებში ისეთი გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება, რომელიც მხარს უჭერს გენდერულ ბალანსს აკადემიურ (მათ შორის, მაღალი რანგის) პერსონალს შორის, სხვადასხვა დისციპლინებში გენდერული განსხვავებების დაძლევის, ინსტიტუციურ დონეზე აქტიური ზომების გატარებას STEM-ისა და სხვა სფეროებში ქალთა პოტენციალის სრულფასოვანი და ოპტიმალური გამოყენების და ასევე სამეცნიერო კვლევის სფეროში წამყვანი პოზიციებზე ქალების დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

მთავრობა ასევე გააძლიერებს სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას შორის არსებულ კავშირებს და უფრო მიმზიდველს გახდის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო კარიერას, რაც შეამცირებს კვალიფიციური მეცნიერების დეფიციტისა და მეცნიერების მიმართ საზოგადოების ნდობის შემცირების რისკს. მთავრობა ხელს შეუწყობს მეცნიერების მიმართ ინტერესის გაძლიერებას, რომელიც წლიდან წლამდე მცირდება. 2021 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული 38 300 პირიდან მხოლოდ 2 300

აბიტურიენტმა ჩააბარა გამოცდა ქიმიაში და მხოლოდ 200-მა ფიზიკაში (შეფასების და გამოცდების ცენტრი, 2021).

ასევე გაძლიერდება უნივერსიტეტსა და სკოლას შორის თანამშრომლობა სწავლების ადრეულ საფეხურიდანვე STEM-ისა და სხვა სფეროების მიმართ ინტერესის გაძლიერებისა და STEM-ის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოწყვლად ჯგუფებს, რომლებსაც, როგორც წესი, უფრო დაბალი ხარისხის განათლებაზე მიუწვდებათ ხელი. გარდა ამისა, მთავრობა ინოვაციის, როგორც ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საწარმოს იდეას, დააბალანსებს უფრო ფართო კონცეფციის პოპულარიზაციით, რომელიც ასევე მოიცავს სოციალურ ინოვაციებსა და ანტერპრენერობას. ამასთან, ხელს შეუწყობს მონაწილეობითი მიდგომების დანერგვას კვლევასა და ინოვაციებში, რათა ჩართოს მოქალაქეები ადრეული ასაკიდან და მთელი ცხოვრების მანძილზე. მსოფლიო ბანკთან ერთად, გაგრძელდება ICT სპეციალისტების გადამზადების კურსები ბაზარზე არსებულ ყველაზე მოთხოვნად უნარებში, მათ შორის, STEM მიმართულებით, პროგრამების ბენეფიციარი ქალების პროცენტული მაჩვენებელი იქნება მინიმუმ 30 %.

მთავრობა ხელს შეუწყობს დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების ინოვაციური მოდელების დანერგვას და განვითარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა გეოგრაფიულად მოწყვეტილ არეალებში და იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ წვდომა ინტერნეტთან ან ციფრულ ტექნოლოგიებთან. განვითარდება სწავლა-სწავლების ციფრული, ჰიბრიდული და სხვა მოქნილი მოდელები, პარალელურად გაძლიერდება ინდივიდუალური სწავლება და მოწყვლადი და სსმ და შშმ მოსწავლეებისა და სტუდენტების მიზნობრივი მხარდაჭერა. მთავრობა ასევე იზრუნებს ყველა იმ შესაძლო ბარიერის (მათ შორის საკანონმდებლო) აღმოფხვრაზე, რომელიც ზღუდავს სწავლების მოქნილობას და აფერხებს უმაღლესი განათლების მიღებას რეგიონებში მცხოვრები, ან იმ სტუდენტებისთვის, ვისაც უწევს სამუშაოსა და სწავლის შეთავსება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დისტანციურ სწავლებაზე, რომლის გაძლიერებაც სკოლებს შესაძლებლობას მისცემს საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი კურსები.

შემუშავდება თანასწორობის, ინკლუზიისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის ერთიანი სამთავრობო მიდგომა ძირითადი პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიმართულებებს შორის სინერჯისა და კოორდინირების გზით, როგორცაა: განათლება და გადამზადება, ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა, ოჯახები და გენდერული მეინსტრიმინგი, რეგიონული და ურბანული განვითარება, მიგრაცია, დასაქმება და სხვა.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, ხელს შეუწყობს ეკონომიკის საჭიროებების შესაბამისი და მსწავლელზე ორიენტირებული განათლებისა და გადამზადების სისტემის განვითარებას, რათა თითოეულმა ადამიანმა შეძლოს თავისი შესაძლებლობის სრულად გამოვლენა და მაღალი ხარისხის განათლების მიღება მთელი ქვეყნის მასშტაბით მისი სქესის, გენდერული იდენტობის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური წარმოშობის და შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

მთავრობა ასევე უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკა შემუშავდეს და განხორციელდეს მოწყვლადი ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების მონაწილეობით და მთავრობას, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ძირითად დაინტერესებულ მხარეებსა და დონორებს შორის მრავალმხრივი დიალოგის გზით. ეს ზომები უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას სამიზნე ჯგუფებთან თანამშრომლობით, ხოლო ინკლუზიისა და მრავალფეროვნების პატივისცემა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის გაზიარებულ პასუხისმგებლობად და ვალდებულებად ჩამოყალიბდება.

მეორე სტრატეგიული მიზნის ქვეშ გათვალისწინებულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:

მიზანი 2.1 ყველა მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების მხარდაჭერი სერვისების ხელმისაწვდომობას რისკის ჯგუფებში მყოფი ბავშვებისთვის, კერძოდ: უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირების და იმიგრანტების შვილები. ადრეული და სკოლამდელი განათლებისა საგანმანათლებლო დაწესებულებები შეძლებენ საგანმანათლებლო და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული უთანასწორობის დაკომპენსირებას.

- ამოცანა 2.1.1 ადრეულ და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და შესაბამისი სასწავლო მასალის მიწოდება ინკლუზიური განათლების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.
- ამოცანა 2.1.2 ადრეულ და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის დამატებითი დახმარების შეთავაზება სხვადასხვა რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ჯგუფებთან სამუშაოდ, დამხმარე სპეციალისტების სახით (მაგ. მეტყველების თერაპევტები, ფსიქოლოგები, სოციალური პედაგოგები).

- ამოცანა 2.1.3 სხვადასხვა რისკის ქვეშ და არახელსაყრელ პირობებში მყოფი ბავშვებისთვის ადრეული განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამებში მონაწილეებისთვის წვდომის გაუმჯობესება.

მიზანი 2.2 თითოეულ მოსწავლეს, მათ შორის მოწყვლადი და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების მოსწავლეებს აქვთ სწავლის თანაბარი შესაძლებლობები; სწავლა-სწავლების პროცესი მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

- ამოცანა 2.2.1 ზოგადი განათლების სფეროში კომპლექსური ინტერვენციების განხორციელება თითოეული მოსწავლისთვის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლეებისთვის (ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები, დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსწავლეები და ა.შ.). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების განხორციელება.
- ამოცანა 2.2.2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები ფლობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და ეროვნული უმცირესობების ჯგუფების მოსწავლეებთან მუშაობისთვის საჭირო სპეციალური მასწავლებლები სათანადო მხარდაჭერას უწევენ საგნობრივ პედაგოგებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ყოველდღიურ მუშაობაში.
- ამოცანა 2.2.3 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რესურსებით მდიდარი და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა; სათანადო სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა თითოეული მოსწავლისთვის (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და ეროვნული უმცირესობების ჯგუფების მოსწავლეებისთვის).

მიზანი 2.3 პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია ყველასთვის თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით

- ამოცანა 2.3.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქნილი ქსელის მეშვეობით უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობა მრავალფეროვან დისციპლინებსა და მიმართულებებში.

- ამოცანა 2.3.2 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულია პროფესიული განათლების როგორც პირველი არჩევანის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.
- ამოცანა 2.3.3 მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა გაძლიერებულია ზრდასრულთა განათლების, არაფორმალური განათლების აღიარებისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობით.

მიზანი 2.4 სტუდენტთა კორპუსი, რომელიც შედის, მონაწილეობს, და ამთავრებს უმაღლეს განათლებას სწავლების ყველა საფეხურზე, ასახავს საქართველოს მოსახლეობის მრავალფეროვნებას. ინკლუზიურობა ყველა დაწესებულების ამოცანაა (ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მიზანი)

- ამოცანა 2.4.1 ყველა კატეგორიის („თანასწორობის ჯგუფის“) სტუდენტისთვის ყოვლისმომცველი ღონისძიებებით უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და განათლებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობების გაზრდა.
- ამოცანა 2.4.2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მხარდამჭერი სისტემებისა და სერვისების დანერგვა (აკადემიური, ფინანსური და სოციალური დახმარება) არახელსაყრელ პირობებში და რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების დასახმარებლად.
- ამოცანა 2.4.3 რეგიონულ დონეზე ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ეფექტიანი თანამშრომლობის დამყარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეკონომიკის სექტორსა და საზოგადოებას შორის.
- ამოცანა 2.4.4 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური და სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის უზრუნველყოფა და ყველა სტუდენტისთვის ხელსაყრელი სასწავლო პირობების შექმნა, მათ შორის ძირითადი და დამხმარე რესურსებით აღჭურვა.
- ამოცანა 2.4.5 უმაღლესი განათლების სწავლა-სწავლების პროცესის მოქნილობის გაუმჯობესება და სტუდენტებისთვის დროისგან/ადგილისგან დამოუკიდებელი სწავლების სხვადასხვა მოდელის შეთავაზება.

ამოცანა 2.5 ინკლუზიური და მრავალფეროვანი კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციისადმი ინტერესის ფართოდ გავრცელება საზოგადოებაში.

- ამოცანა 2.5.1 განათლების ადრეული საფეხურიდან კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციისადმი ინტერესის გაძლიერება.

- ამოცანა 2.5.2 საქართველოს ადამიანური კაპიტალის სრულყოფილად გამოყენების მიზნით, კვლევაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა და სფეროს გენდერულად დაბალანსება.
- ამოცანა 2.5.3 პასუხისმგებლიანი კვლევა და სამოქალაქო მეცნიერება აძლიერებს საზოგადოების და მომხმარებლების ჩართულობას კვლევაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში.

3.4.3 სტრატეგიული მიზანი III. მართვა, დაფინანსება და ანგარიშვალდებულება

განათლებისა და მეცნიერების სისტემის მესამე ძირითად სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ძლიერი ავტონომიური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების განვითარების მხარდაჭერა, მათთვის სათანადო რესურსების და დაფინანსების უზრუნველყოფისა და ხელშემწყობი მართვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების დამკვიდრების გზით. აღნიშნული მოიაზრებს სახელმწიფო ფინანსური რესურსების მობილიზებას, შეზღუდული რესურსების ეფექტიანად და ოპტიმალურად გამოყენებასა და ასევე, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მართვის დეცენტრალიზაციისა და ავტონომიურობის მხარდაჭერას დაბალანსებული ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის ქმედითი მექანიზმებით.

განათლების სისტემაზე კოვიდ-19-ის პანდემიის გრძელვადიანი ნეგატიური ეფექტის შესამცირებლად, ასევე უფრო მდგრადი სისტემის ასაშენებლად, მთავრობა შეიმუშავებს პროგრამებს განათლების სისტემის მზაობისა და რეაგირების გასაძლიერებლად და საგანგებო მდგომარეობის დროს განათლების მიწოდების ასპექტების ეფექტიანად მართვისთვის.

ავტონომიური, ძლიერი და პასუხისმგებლიანი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო საზოგადოებისა და კვლევისა და ინოვაციების ეკოსისტემების ძირითადი მოქმედი პირები გახდებიან, ხოლო მთავრობა გამოიყენებს მართვის, რეგულირებისა და დაფინანსების ყველა შესაძლო რესურსს, რათა დაეხმაროს მათ თავად გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ოპტიმიზაცია და კონსოლიდაცია, განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის მართვის შიდა და გარე ინსტრუმენტების დახმარებით, ხელ შეუწყობს ორგანიზაციების ინსტიტუციურ განვითარებას და შექმნის ინდივიდის, ეკონომიკისა და საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილების უკეთეს შესაძლებლობებს.

მართვის, დაფინანსებისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა წარმოადგენს განათლების სისტემის ყველა საფეხურისა და ასევე სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური სისტემების განვითარების ძირითად მიზანს. სკოლამდელი განათლების სისტემაში ეს ნიშნავს მდგრადი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნას რომელიც უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების სერვისების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის, საცხოვრებელი ადგილისა და შესაძლებლობის შეზღუდვის მიუხედავად.

2032 წლისთვის მთავრობა უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა მოდერნიზებას და მისაწვდომობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების გაძლიერება რათა შეძლონ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლამდელი განათლების სერვისების განვითარება. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მონაცემთა რეგულარული შეგროვების, მონიტორინგისა და თვითშეფასების სისტემის ამოქმედება და დაწესებულებების დახმარება წარმატებით დანერგონ თვითშეფასება მართვის პრაქტიკაში. მთავრობა ასევე უზრუნველყოფს, რომ კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი თანაბრად იყოს წარმოდგენილი მთელს სისტემაში და მუნიციპალიტეტებმა გამოყონ ყოველწლიური დაფინანსება მასწავლებელთა ტრენინგისთვის და იზრუნონ ანაზღაურების ეტაპობრივ ზრდაზე.

ზოგად განათლებაში პრიორიტეტულია რესურსების ეფექტიანად გამოყენების, თვითმმართველობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაძლიერება, სკოლების დაფინანსების ზრდა (ანაზღაურებების გარდა), რათა შესაძლებელი გახდეს მოსწავლეებისა და სკოლების ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება, ხარისხიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფისთვის. 2022-2032 წლებში ზოგადი განათლების სფეროში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სასკოლო სისტემის რესტრუქტურირება და ოპტიმიზაცია ფინანსური და ადამიანური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით. ამჟამად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შეზღუდული რესურსების არაეფექტიანად გამოყენებაზე მიანიშნებს მოსწავლე-მასწავლებლის დაბალი თანაფარდობა, მცირე სკოლების დიდი რაოდენობა და ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა მხოლოდ ნახევარი მუშაობს სრულ განაკვეთზე (NAEC, 2020). მთავრობა საგანმანათლებლო რესურსცენტრების მხარდაჭერით წაახალისებს სკოლის თვითმმართველობის ზრდას მათი ავტონომიურობის ამაღლების, დირექტორების, მასწავლებლებისა და სამეურვეო საბჭოს შესაძლებლობათა გაძლიერების გზით. ჩამოყალიბდება ახალი კონცეფცია, რომელიც სკოლის ხელმძღვანელის, როგორც სისტემური ლიდერის, კომპეტენციების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სრულფასოვანი და გამართული მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას. 2026-2027 აკადემიური წლისთვის დასრულდება საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესი, რომელიც ახალი სტანდარტის შესაბამისად, აქცენტს აკეთებს სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა მოსწრების შეფასებაზე.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის, პიროვნული ზრდის და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით დაინერგება “ერთიანი სკოლის მიდგომა”, რომლის მიხედვითაც, სასკოლო კულტურის ყველა ასპექტს შეუძლია დადებითად იმოქმედოს მოსწავლეთა შედეგებზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ, მიდგომა ითვალისწინებს ჰოლისტური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მუშაობის პრაქტიკის დანერგვას. შემუშავდება სკოლის თვითშეფასების სისტემა, რომელიც იქცევა სკოლის განვითარებისა და გაუმჯობესების ფუნდამენტურ ძალად. თვითშეფასების სისტემა წახალისებს გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება წარმატებული გამოცდილების გაზიარებასა და მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, ყურადღება დაეთმობა გადაწყვეტილების მიღებისა და შესრულების პროცესში, თავად არასრულწლოვანთა და ახალგაზრდების მონაწილეობის მაქსიმალურ ხელშეწყობას მათი უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.

გაგრძელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მხარდაჭერა მონაცემების რეგულარულად შეგროვების, მართვისა და ანალიზის პროცესთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს სექტორის შეფასება, ძირითადი მიმართულებების, გამოწვევებისა და ტენდენციების ანალიზი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის, უპირველეს ყოვლისა კი სკოლებისთვის, რათა მათ შეძლონ არსებული ტენდენციების ადგილობრივ კონტექსტთან მიმართებით გაანალიზება.

პროფესიული განათლების სფეროს მიზანია ეფექტიანი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება საჯარო-კერძო პარტნიორობის, ინსტიტუტების თვითმმართველობების, ანგარიშვალდებულების გაძლიერებისა და რესურსების მობილიზაციის გზით. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჯარო-კერძო პარტნიორობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად, გაგრძელდება მუშაობა პროფესიული უნარების სააგენტოს (რომელიც დაფუძნდა 2021 წლის აპრილში) მეშვეობით, რომელიც აერთიანებს საჯარო სექტორს, დამკირავებელთა ორგანიზაციებსა და ორმოცზე მეტ დარგობრივ ორგანიზაციას. პროფესიული განათლების დაფინანსება დაეფუძნება დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელს, რადგან პროფესიული განათლების მასშტაბის ზრდა მოითხოვს ფინანსური და ადამიანური რესურსების ზრდასა და ბიუჯეტის უფრო ეფექტიან მართვას.

ვინაიდან ავტონომია მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული ფინანსურ ავტონომიასთან, პროფესიული განათლების ახალი კანონი ასევე ითვალისწინებს პროფესიული სასწავლებლების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში. ბიუჯეტი გაიზრდება კერძო სექტორის უფრო აქტიური ჩართულობის, შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმების, სოციალური ვაუჩერებისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული სასწავლებლები ასევე შეძლებენ განავითარონ ეკონომიკური საქმიანობა პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების გზით და გამოიყენონ ეს შემოსავლები სასწავლებლების განსავითარებლად, საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

გაძლიერდება ანგარიშვალდებულების მექანიზმები ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ჩათვლით. შედეგად ექვსი წლის შემდგომ ყველა პროფესიული სასწავლებელი იფუნქციონირებს ახალი სტანდარტის სრული დაცვით, რომელიც სრულიად შეესაბამება პროფესიული განათლების ევროპულ სტანდარტს (EQAVET).

ზრდასრულთა განათლების სტრატეგიული განვითარების უზრუნველსაყოფად მთავრობა დონორებთან თანამშრომლობით მომდევნო ათი წლის განმავლობაში რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს. პირველ ყოვლისა, შემუშავდება საქართველოში ზრდასრულთა განათლების კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროებსა და შეიმუშავებს კონკრეტულ მექანიზმებს ამ სფეროში სახელმწიფო პროვაიდერთა განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნება ზრდასრულთა განათლების საკითხებზე მომუშავე სამმართველო და დაინიშნებიან ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებელი პირები. განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობა გადაისინჯება, ზრდასრულთა განათლების ძირითადი ციკლის შემდგომი განათლების ყველა ფორმის, მათ შორის პროფესიული თუ არაპროფესიული სწავლების ყველა ფორმის ასახვის მიზნით, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ინდივიდის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, განისაზღვრება ზრდასრულთა განათლების სფეროში გამოსაყენებელი ტერმინოლოგია, რომელიც შესაბამისობაში იქნება იუნესკოსა და ევროკავშირის პოლიტიკასთან.

შეიქმნება ზრდასრულთა არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების ინფრასტრუქტურა, რომელიც სცდება ეკონომიკურ და სამუშაო საკითხებს, მათ შორის არაკომერციული მიზნებისთვის შემუშავდება არაფორმალური სასწავლო პროგრამები, როგორებიცაა სამოქალაქო განათლებისა და პიროვნული განვითარების კურსები. პროვაიდერების შესაძლებლობების გაზრდისა და ზრდასრულთა განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წახალისდება ახალ და უკვე მოქმედ პროვაიდერებს შორის თანამშრომლობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, სწავლების შინაარსისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ.

უმაღლესი განათლების მიმართულებით რეფორმები ორიენტირებული იქნება რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებასა და ინსტიტუციური ავტონომიის გაძლიერებაზე, დაბალანსებული და ქმედითი ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტების, შრომის ბაზრის, ეკონომიკისა და ფართო საზოგადოების საჭიროებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხს. რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის ცვლილება შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების კომპონენტით, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციური და ინდივიდუალური მიღწევების გაუმჯობესებას. 2032 წლისთვის განხორციელდება უმაღლესი განათლების სისტემის რესტრუქტურირაცია და ოპტიმიზაცია ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მექანიზმებისა და ანგარიშვალდებულების დაბალანსებული სისტემის საშუალებით.

ზოგიერთი ასეთი მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს ინსტიტუციური თანამშრომლობის გაღრმავების სტიმულირებას (ციფრული თანამშრომლობის ჩათვლით): ინსტიტუციონალურ სპეციალიზაციას, უმაღლესი განათლების სისტემის რესტრუქტურირაციას, სექტორის კონსოლიდაციას და შერწყმას, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისას და ზოგადად, საზოგადოებისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის:

- კეთილსინდისიერებისა და უწყვეტი განვითარების პრინციპები, ასევე შესაბამისი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემები განაპირობებენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. ამასთანავე, აღნიშნული პრინციპები ინდივიდებისა და ინსტიტუტების განვითარების საფუძველია.
- ხორციელდება ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში: მასწავლებლებში, მკვლევარებსა და ზოგადად, განათლების და გადამზადების, ასევე კვლევისა და ინოვაციის სისტემებში დასაქმებულ ინდივიდებში.
- ღია სასწავლო გარემო და კვლევისა და ინოვაციის ეკოსისტემები ინდივიდებს საშუალებას აძლევს ისწავლონ, ასწავლონ, გადამზადდნენ, განვითარდნენ და ამ გზით შეიტანონ თავიანთი წვლილი საერთო მიზნების მიღწევაში.

წინადადებული ნაბიჯი იქნება უმაღლესი განათლების ყოვლისმომცველი რეფორმის ფარგლებში მთავრობის მიერ პროცესის კონსოლიდაცია და ინსტიტუციების ნებაყოფლობითი შერწყმის ფინანსური მხარდაჭერა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დივერსიფიცირებისა და მათი საქმიანობის პროფილის გაფართოების მიზნით მთავრობა ასევე გადადგამს ნაბიჯებს უმაღლესი პროფესიული განათლების

სექტორში კარიერაზე ორიენტირებული პროგრამების შესამუშავებლად (გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი), რომლებიც შესაბამისობაში იქნება შრომის ბაზრის საჭიროებებთან და სწავლა-სწავლების სფეროში ინოვაციურ მიდგომებთან. ეს მიმართულება გახდება დაფინანსების პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი სამიზნე და მომდევნო ათი წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მსურველთა მნიშვნელოვან რაოდენობას (მინიმუმ 20%-ს) მიიღებს.

დაფინანსების პირველი ეტაპის ბოლოს, დამატებით მრავალწლიანი დაფინანსების მიღების მიზნით საერთაშორისო ექსპერტული შეფასების ფარგლებში შეირჩევა საერთაშორისო დონეზე კონკურენტული უნივერსიტეტები (არაუმეტეს 3), რომლებიც ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან და მაღალი ხარისხის კვლევების განხორციელების დიდი პოტენციალით გამოირჩევიან.

გარდა ამისა, წახალისდება უმაღლესი სასწავლებლების მიერ მმართველობით ორგანოებში დაინტერესებული მხარეების ჩართვა, რაც დაეხმარება მათ შრომის ბაზრისა და საზოგადოების სწრაფად ცვალებადი საჭიროებების უკეთესად აღქმაში.

გაგრძელდება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტების მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების რეორგანიზაციისა და ძვირადღირებული სისტემების ოპტიმიზაციის შესაძლებლობის გაძლიერებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და ხარჯების გათვალისწინებით, განვითარდება რისკების ანალიზის მეთოდზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები და დაინერგება ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომები. კლასტერული აკრედიტაციის ამოქმედებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოზე დაყრდნობით, შეძლებენ ერთობლივად რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიღებას ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების ნაცვლად, შედარებით მოკლე დროის პერიოდში, ნაკლები ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით.

მთავრობა ასევე ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების სისტემის ავტონომიურობისა და შესაძლებლობების გაძლიერებას უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირებისა და შესაძლო ბარიერების აღმოფხვრის გზით. აღნიშნული ასევე მოიცავს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის სისტემის რეფორმირებას, რაც უმაღლეს დაწესებულებებს შესაძლებლობას მისცემს, უფრო აქტიური როლი შეასრულონ სტუდენტების შერჩევის პროცესში. ინსტიტუციურ დონეზე მართვისა

და ხელმძღვანელობის გაძლიერება კი უზრუნველყოფს სხვადასხვა რეფორმის შედეგად წარმოშობილი ორგანიზაციული გამოწვევების წარმატებით დაძლევას.

დასასრულს, სისტემის დონეზე მართვისა და ინსტიტუციური მენეჯმენტის მხარდაჭერა განხორციელდება ღია წვდომის მონაცემთა სისტემების განვითარებისა და მონაცემთა შეგროვების, გაზიარებისა და დიგიტალიზაციის მეშვეობით. ასევე, იმ მექანიზმების განახლების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სინქრონიზაციის, მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობათა გაძლიერებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მტკიცებულებების გამოყენებას.

სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სფეროსთან დაკავშირებით ძირითადი მიზანია ეროვნულ და რეგიონულ დონეზე სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური სისტემების განვითარება რესურსების, მმართველობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ეფექტიანი გამოყენების გზით. აღნიშნული ითვალისწინებს კვლევის დაფინანსების ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც სტიმულს მისცემს როგორც დაწესებულებებს, ასევე მათ თანამშრომლებს. გაიზრდება საბაზისო და კონკურენციაზე დაფუძნებული დაფინანსება და შემუშავდება გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული კვლევითი პროგრამები.

სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური მუშაობის გაფართოებას ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება, სახელმწიფო და კერძო დაფინანსების მობილიზება და ევროპული დაფინანსების ისეთი წყაროს გამოყენება, როგორცაა „ჰორიზონტი ევროპა“. მთავრობა ასევე შექმნის მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს აკადემიურ მეწარმეობას, მრეწველობისა და საჯარო სექტორებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას. ის ბიზნესისა და მრეწველობის სექტორში ინოვაციების პოპულარიზაციის ხელშესაწყობად ასევე შეიმუშავებს სექტორული მობილურობის ეროვნულ პროგრამას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

ეროვნულ, რეგიონულ და ინსტიტუციურ დონეებზე ამოქმედდება მენეჯმენტის მოქნილი და ეფექტიანი მექანიზმები სამეცნიერო კვლევის, ინოვაციისა და მეწარმეობის გასაძლიერებლად. ამასთანავე, სამეცნიერო კვლევების სტრუქტურირებულ მხარდაჭერას, კომერციალიზაციასა და ინოვაციის გაზიარებას ხელს შეუწყობენ კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული უნივერსიტეტის კვლევისა და ცოდნის (ინოვაციის) გადაცემის ოფისები და ეროვნულ თუ რეგიონულ დონეებზე მოქმედი ინოვაციური ეკოსისტემების ჰაბები.

გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის გაძლიერებას ხელს შეუწყობს ინვესტიციების თავმოყრა, ინფრასტრუქტურული რესურსების გაზიარება და ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვა პრაქტიკაში. სამეცნიერო-კვლევითი სფეროები განვითარდება კლასტერული პრინციპით, მაქს პლანკის მოდელის შესაბამისად. ამავდროულად დაფუძნდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები.

დაფუძნდება ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული სააგენტო და გაძლიერდება წამყვანი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ტექნოლოგიების გადაცემის შესაძლებლობები

შეიქმნება ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული სააგენტო და მსგავსი შესაძლებლობები გაძლიერდება წამყვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. დასასრულ, შეიქმნება სამეცნიერო-კვლევით ინფორმაციასთან ღია წვდომის ეროვნული პლატფორმა, რომელზეც განთავსდება ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის, ინფრასტრუქტურის, მიღწეული შედეგებისა და პროექტების შესახებ.

მესამე სტრატეგიული მიზნის ქვეშ გათვალისწინებულია შემდეგი კონკრეტული მიზნები და ამოცანები:

მიზანი 3.1 ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის ეფექტიანობისა და მდგრადობის გაძლიერება

- ამოცანა 3.1.1 ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და განვითარების ქსელის მოდერნიზება და ხელმისაწვდომობა მთელ საქართველოში.
- ამოცანა 3.1.2 ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციები და რესურსები, რათა განავითარონ ადრეული განათლების სერვისები თავიანთ მხარეში.
- ამოცანა 3.1.3 ადრეულ და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის გასაზრდელად სისტემატიური მონიტორინგის და თვით-შეფასების მექანიზმების გამოყენება.
- ამოცანა 3.1.4 კვალიფიციური პედაგოგიური სამუშაო ძალის თანაბრად წარმოდგენა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში.

მიზანი 3.2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა რესურსების ეფექტური გამოყენების, დემოკრატიული და მონაწილეობითი თვითმმართველობის და ანგარიშვალდებულების მეშვეობით.

- ამოცანა 3.2.1 ზოგადი განათლების სისტემის რესტრუქტურირება და ოპტიმიზაცია სისტემაში ფინანსური და ადამიანური რესურსების მეტად ეფექტური და სამართლიანი გამოყენების მიზნით.

- ამოცანა 3.2.2 სკოლის თვითმმართველობის გაძლიერება სკოლების (დირექტორების, მასწავლებლების, სამეურვეო საბჭოს) ავტონომიისა და მზაობის გაზრდითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მხარდაჭერით.
- ამოცანა 3.2.3 სკოლების სრულყოფილი მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვა შესაბამისი დამხმარე უკუკავშირით.

მიზანი 3.3 პროფესიული განათლების სისტემის ეფექტურობა უზრუნველყოფილია მართვისა და რესურსების გამოყენების ეფექტიანი გზებით.

- ამოცანა 3.3.1 პროფესიული განათლების განვითარება საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით.
- ამოცანა 3.3.2 განათლების სხვადასხვა საფეხურს შორის კავშირების გაძლიერება
- ამოცანა 3.3.3 დაფინანსების ეფექტური მექანიზმები აძლიერებს კონკურენციას პროფესიული განათლების მიმწოდებლებს შორის და უზრუნველყოფს მათ უწყვეტ განვითარებას.

მიზანი 3.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარება და სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება უმაღლესი განათლების რეფორმირებული დაფინანსების მოდელით.

- ამოცანა 3.4.1 უმაღლესი განათლების რეფორმირებული დაფინანსების მოდელი უზრუნველყოფს დაწესებულებების მდგრად განვითარებასა და სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას.
- ამოცანა 3.4.2 უმაღლესი განათლების სისტემის რესტრუქტურისა და ოპტიმიზაციის განხორციელება დაბალანსებული ანგარიშვალდებულების სქემის დანერგვისა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწის გზით.
- ამოცანა 3.4.3 უმაღლესი განათლების სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის სისტემის რეფორმირებით და ხელმძღვანელი პირების გადამზადებით ორგანიზაციული ცვლილებების მზაობისთვის მოსამზადებლად.
- ამოცანა 3.4.4 უმაღლესი განათლების სისტემის ინსტიტუციური მენეჯმენტისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერა ღია მონაცემთა სისტემების, მონაცემთა გაზიარების და გაციფრულების მეშვეობით.
- ამოცანა 3.4.5 კვლევისა და ინოვაციის სისტემით აკადემიური და სტუდენტური მეწარმეობის ხელშეწყობა, ასევე გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარება

უმადლესი განათლების, ინდუსტრიულ, საჯარო სექტორებს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

მიზანი 3.5 ეროვნული და რეგიონალური კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემების ეფექტურობის ამაღლება რესურსების მიზანმიმართულად გამოყენებით, მმართველობისა და ანგარიშვალდებულების მეშვეობით, საზოგადოებისა და ეკონომიკის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- ამოცანა 3.5.1 ძირითადი და კონკურენტული დაფინანსების ზრდა და შედეგზე ორიენტირებული, გრძელვადიანი მიზნობრივი დაფინანსების სისტემის განვითარება, რაც სტიმულს მისცემს ინსტიტუტებს, მათ მკვლევარებსა და პერსონალს.
- ამოცანა 3.5.2 ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე კვლევის, ინოვაციისა და მეწარმეობის გაძლიერება მოქნილი და ეფექტური მართვის სტრუქტურებითა და მექანიზმებით.
- ამოცანა 3.5.3 კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის გაძლიერება ინვესტიციების კონცენტრაციითა და საერთო სარგებლობით; მტკიცებულებებზე და მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომები ხელს უწყობს პროდუქტიულობის, თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის ზრდას ამ სფეროში.

3.5 ინსტიტუციური გაძლიერება

მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განვითარების, საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის გაძლიერებისაკენ, რათა სტრატეგიის ყველა მიზნის მიღწევამ შედეგად მოიტანოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკით სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება.

სამინისტროს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების, საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, ასევე შეფასებითი ინდიკატორების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე შიდა მექანიზმის შექმნა, სტრუქტურული მმართველობითი პროცესების დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევის ჩატარება და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგების გეგმის შემუშავება, შიდა და გარე კომუნიკაციის გაუმჯობესება;

ორგანიზაციაში არსებული რისკების გამოვლენისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და პროცესის მეტი ინკლუზიურობა.

ინკლუზიური განათლების მასშტაბების ზრდა მოითხოვს ინკლუზიური განათლების მართვისა და კოორდინირების სისტემის შემდგომ განვითარებას. სისტემა საჭიროებს პოლიტიკასა და პრაქტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მეტად გამიჯვნას, დეცენტრალიზებას, მათ განვითარებას მკაფიო მანდატის ქვეშ; სისტემის შიგნით და მის გარეთ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინაციის გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროცესების ინკლუზიურობა გარანტირებული და დარეგულირებულია განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით.

ინკლუზიური განათლების ეფექტურად რეგულირება მოითხოვს მარეგულირებელი დოკუმენტების სრულ შესაბამისობას საერთაშორისო კონვენციებსა და საქართველოს კანონმდებლობასთან; მნიშვნელოვანია, დოკუმენტებმა (კანონმა და კანონქვემდებარე აქტებმა) მკაფიოდ და ჰარმონიულად განმარტონ ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები განათლების სხვადასხვა საფეხურზე (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლება), სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის.

ინსტიტუციური განვითარების ფართომასშტაბიანი მიზნის ქვეშ ლოგიკურ ჩარჩოში, **3.6 მიზნის – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განვითარების, საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის გაძლიერება – შესასრულებლად განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:**

- ამოცანა 3.6.1 მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკით სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება.
- ამოცანა 3.6.2 საგანმანათლებლო პროცესების ინკლუზიურობის უზრუნველყოფა განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით.

4 მმართველობა, განხორციელების პირობები და პასუხისმგებელი უწყებები

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია განკუთვნილია 2022-2032 წლებისათვის. დოკუმენტის მიზანია მომდევნო 10 წლისთვის განსაზღვროს ძირითადი სახელმწიფო პრიორიტეტები და გრძელვადიანი მიზნები განათლებისა და მეცნიერების განვითარების სფეროში.

სამინისტროს ინსტიტუციური სტრატეგია, პასუხისმგებელი ორგანოები და პარტნიორები

სამინისტრო გაუწევს კოორდინაციას სტრატეგიის განხორციელებას. სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, სექტორის თავისებური ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული განვითარება და გაძლიერება გათვალისწინებულია სტრატეგიის სამოქმედო გეგმებით (ნახეთ ქვემოთ). ამასთანავე, სამინისტროს ეკისრება უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს კატალიზატორის ფუნქცია სტრატეგიის საერთო კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველსაყოფად.

საკუთარი, როგორც კოორდინატორის, დამკვირვებლისა და შემფასებლის როლის შესასრულებლად, სამინისტრო მოითხოვს მეტად გაძლიერებას და საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას. ახალი სტრატეგია შეესაბამება საქართველოს მთავრობის #629 დადგენილებას, თუმცადა, იმისათვის, რომ სამინისტროს შიდა ორგანიზაციული და საქმიანი პროცესები, ასევე, ფუნქციონალური ურთიერთობები თანხვედრაში მოდიოდეს დაქვემდებარებულ სსიპ-ებთან, შეიქმნება ინსტიტუციონალური განვითარების შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები, რაც ხელს შეუწყობს სამინისტროს შესაძლებლობების და საქმიანობის ეფექტურობის ზრდას.

ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიის პირველი ნაბიჯი მდგომარეობს საწყისი კვლევის განხორციელებაში, რომელიც ფოკუსირებული იქნება შესაძლებლობების არსებულ მდგომარეობაზე, ორგანიზაციასა და დიგიტალიზაციაზე. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე, შეიქმნება სამოქმედო გეგმა, რომელიც ფოკუსირებული იქნება სამინისტროს შიდა ორგანიზებაზე, საქმიანობის პროცესზე, ასევე მის ფუნქციონალურ ურთიერთობებზე დაქვემდებარებული სსიპ-ებთან. გეგმა დაკავშირებული ციფრულ მზადყოფნასთან, ფუნქციონალურ ორგანიზაციასთან, ადამიანური რესურსების მართვასა და შესაძლებლობების განვითარებასთან.

4.1 პარტნიორები

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების განვითარების პროცესში სხვა ჩართული მხარეები არიან:

1. პარლამენტი;
2. ცენტრალური და ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოები;
3. ბიზნეს სექტორი და სავაჭრო კავშირები;
4. აკადემიური საზოგადოება;
5. საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები;
6. არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;
7. სწავლა-სწავლებაში ჩართული პირები;
8. დარგის სხვა დაინტერესებული მხარეები.

4.2 საჯარო კონსულტაციები

ქვეთავი მომზადდება პოლიტიკის დოკუმენტების განხილვაში ჩართული და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.

5 მონიტორინგი და შეფასება

განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოთი დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდება.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის (სამდივნო) კოორდინაციით ყოველ ექვს თვეში ერთხელ მომზადდება ანგარიში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის შესახებ, შესაბამისი განმახორციელებელი/პასუხისმგებელი უწყების/დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ინფორმაცია

უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მე-7 დანართით განსაზღვრული ე.წ. სტატუსის შესახებ ანგარიშით გათვალისწინებულ მინიმალურ ინფორმაციას. განათლების და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მომზადებული ანგარიში პროგრესის შესახებ უნდა მიუთითებდეს. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა აქტივობის პროგრესის დონეს

განათლების და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადდება მონიტორინგის წლიური ანგარიშიც, რომელშიც მოცემული იქნება მონიტორინგის მიგნებები აქტივობების შედეგების და ამოცანების შედეგების ინდიკატორების შესახებ. ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულ მინიმალურ ინფორმაციას.

სტრატეგიის ამოქმედებიდან ყოველ მეორე წელს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადდება შუალედური შეფასების ანგარიში, რომლის შედეგები გათვალისწინებული იქნება შემდგომ სამოქმედო გეგმაში და საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიის დოკუმენტშიც.

მონიტორინგისა და შეფასების საბოლოო დოკუმენტი მომზადდება სტრატეგიის ვადის გასცვლის მომდევნო წელს. მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და გამჭვირვალედ წარიმართება. გამოქვეყნდება ყოველწლიური, შუალედური შეფასების და საბოლოო შეფასების ანგარიშები.

მონიტორინგის და შეფასების ანგარიშების სამუშაო ვერსიები განთავსებული იქნება განათლების და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ინსტრუმენტებად გამოყენებული იქნება როგორც ფიზიკური შეხვედრები, ისე ვირტუალური საშუალებები. უწყებათშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრებს სამდივნოს მიერ კომენტარებისთვის მიეწოდებათ წლიური მონიტორინგის ანგარიშების სამუშაო ვერსიები, რომელთა შედეგები და დაინტერესებული მხარეების კომენტარები დამატებით განიხილება ერთიან შეხვედრაზე. ამასთან, ამავე პლატფორმის წევრებთან შეთანხმდება ჩასატარებელი შუალედური და საბოლოო შეფასების მასშტაბი, კრიტერიუმები, კითხვები, კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია. შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობის შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭება შერეული შეფასების ტიპს, რომელშიც მაკოორდინირებელი ორგანოს და გარე დამოუკიდებელი კონსულტანტების გარდა,

ჩართული იქნებიან დაინტერესებული მხარეებიც, გარდა ამისა, მონიტორინგის და შეფასების ანგარიშების სამუშაო ვერსიების, ასევე შესაფასებელი საკითხების და შეფასების მონახაზის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს და საზოგადოების წევრებს მიეცემათ 2 კვირა კომენტარების ელექტრონულად წარმოდგენისთვის.

ცხრილის სახით წარმოდგენილია მოცემული მონიტორინგისა და შეფასების პასუხისმგებლობების კალენდარული მიმოხილვა.

მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების კალენდარი

აქტივობა	ვადა	პასუხისმგებელი
პროგრესის შესახებ ანგარიში (პროგრეს ანგარიში)	სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცებიდან, ყოველ 6 თვეში, თითოეული აქტივობის სტატუსის შესახებ ანგარიში	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
წლიური ანგარიში	ყოველი მომდევნო წლის თებერვლისთვის, გარდა ბოლო წლისა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პირველი შუალედური შეფასების ანგარიში	2024 წლის თებერვალი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შემდეგი შუალედური შეფასების ანგარიშები	ყოველი მომდევნო სამოქმედო გეგმის დასრულების შემდგომი თებერვალი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საბოლოო შეფასების ანგარიში (საბოლოო ანგარიში)	სტრატეგიის დასრულების შემდგომი წლის თებერვალი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

5.1 სამოქმედო გეგმები

განვითარების სტრატეგიის გარდა, სამინისტრო სამოქმედო გეგმების საშუალებით, რომლებიც ორიენტირებულია მთავარ თემებზე, ხარისხი, თანასწორობა და მმართველობა და რომელთა განხორციელებაც ნავარაუდებია 2022-2024 წლებისთვის, უზრუნველყოფს სექტორული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ეფექტურ დაგეგმვას და იმპლემენტაციას.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს იმ აქტივობებს, რომელთა განხორციელებასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოცემულ წლებში გეგმავს. დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღება საჭიროების, საქართველოს კანონმდებლობის და ბიუჯეტის გათვალისწინებით.

სამოქმედო გეგმა შექმნილი და ფორმატირებულია პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად. სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ექსელის ფორმატში (დანართი 2).

5.2 დაფინანსების წყარო

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების მიერ გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების ოდენობა განისაზღვრება წლიური სამოქმედო გეგმით. საქართველოს მთავრობა მჭიდროდ და აქტიურად გითანამშრომლებს საერთაშორისო თანამეგობრობასთან, რათა ეფექტურად განახორციელოს რესურსების მობილიზება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობისათვის.

5.3 რისკები

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების გააზრება. შიდა და გარე ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ გეგმის განხორციელებაზე და, შესაბამისად, მიზნების მიღწევაზე. რისკების სამართავად მოცემული ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ალტერნატიული სტრატეგიების დროული იდენტიფიცირება და

ინიცირება, რათა მთლიან ხედვასა და პოლიტიკას არ შეექმნას იმპლემენტაციის შეჩერების საფრთხე.

სტრატეგიის გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს კოვიდ-19-ის პანდემია და მისი გრძელვადიანი გავლენა განათლებისა და მეცნიერების სისტემაზე.

პანდემიით გამოწვეული რისკი სტრატეგიის იმპლემენტაციაზე შეიძლება აისახოს 2 ძირითადი მიმართულებით:

1. ბიუჯეტთან დაკავშირებული რისკები. კერძოდ პანდემიისა და შემდგომ პოსტპანდემიის პერიოდში შესაძლებელია შეიქმნას როგორც ფინანსების მობილიზების, ასევე დაფინანსების მდგრადი ზრდის შენარჩუნების რისკი, რაც ნეგატიურად აისახება როგორც გარდამავალ პერიოდზე, ასევე იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე;
2. პროგრამული რისკები: პროგრამული აქტივობების განხორციელების რისკები მოიცავს უშუალოდ დაგეგმილი აქტივობების შინაარსს და მათი განხორციელების ფორმების შესაძლო ცვლილებას. კერძოდ, შესაძლებელია ცალკეული პროგრამების განხორციელება შეუძლებელი იყოს პანდემიის შედეგად გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სისტემის დონეზე პრიორიტეტული მიმართულებების ცვლილების, ან მიზნობრივი მიმართულებით სწრაფი რეაგირების საჭიროებების დადგომის პირობებში.

განათლებისა და მეცნიერების სისტემაზე პანდემიის და პოსტპანდემიური ნეგატიური ეფექტის შემცირების მიზნით მთავრობა უზრუნველყოფს სამიზნე სამინისტროებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინირებულ მუშაობას და გამოწვევების დროული იდენტიფიცირებისა და რისკების შემცირებაზე ორიენტირებული ინტერვენციების განხორციელებას.

პანდემიით გამოწვეული რისკი სტრატეგიის იმპლემენტაციაზე შეიძლება აისახოს 2 ძირითადი მიმართულებით:

1. ბიუჯეტთან დაკავშირებული რისკები. კერძოდ პანდემიის და შემდგომ პოსტპანდემიის პერიოდში შესაძლებელია შეიქმნას როგორც ფინანსების მობილიზების, ასევე დაფინანსების მდგრადი ზრდის შენარჩუნების რისკი, რაც ნეგატიურად აისახება როგორც გარდამავალ პერიოდზე, ასევე იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე.

2. პროგრამული რისკები: პროგრამული აქტივობების განხორციელების რისკები მოიცავს უშუალოდ დაგეგმილი აქტივობების შინაარსს და მათი განხორციელების ფორმების შესაძლო ცვლილებას. კერძოდ, შესაძლებელია ცალკეული პროგრამების განხორციელება შეუძლებელი იყოს პანდემიის შედეგად გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სისტემის დონეზე პრიორიტეტული მიმართულებების ცვლილების, ან მიზნობრივ მიმართულებით სწრაფი რეაგირების საჭიროებების დადგომის პირობებში.

განათლებისა და მეცნიერების სისტემაზე პანდემიის და პოსტ-პანდემიური ნეგატიური ეფექტის შემცირების მიზნით, მთავრობა უზრუნველყოფს სამიზნე სამინისტროებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინირებულ მუშაობას და გამოწვევების დროული იდენტიფიცირებისა და რისკების შემცირებაზე ორიენტირებული ინტერვენციების განხორციელებას.

6 დანართები

1. დანართი 1: განათლებისა და მეცნიერების 2022-2032 წლების სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო.
2. დანართი 2: განათლებისა და მეცნიერების 2022-2032 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმები.